საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუნი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი-ორშაბათი, 10-12 ოქტომბერი. 2020 წ. №129-130 (9055-9056) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ძალადობა და ქვის სროლა მათი ხელწერაა!

ბიძინა ივანიშვილის მანიფესტაცია

„2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილია სამი კვირა. ეჭვგარეშეა, რომ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული წინსვლისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, წინასაარჩევნო კამპანიამ ჩაიაროს მშვიდ გარემოში, თავსმოხვეული აგრესიისა და მღელვარების გარეშე.

მე ვგმობ ყველანაირ ძალადობას, რაც ზიანს აყენებს წინასაარჩევნო პროცესს და დემოკრატიის ხარისხს ქვეყანაში.

ფაქტია, რომ რადიკალურმა ოპოზიციურმა ჯგუფებმა ძალადობა წინასაარჩევნო კამპანიების თანმდევ მოვლენად აქციეს.

უკანასკნელ პერიოდში მათი მხრიდან გახშირდა პროვოკაციები, რასაც, რიგ შემთხვევებში, ჩემდა სამწუხაროდ, წამოეგნენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებიც. არის საფრთხე, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ასეთი ხასიათის ძალადობრივი დაპირისპირებები უფრო გახშირდეს.

როდესაც კონფლიქტი ხდება, ძნელია იმის გარჩევა, ვინ არის ინიციატორი და ვინ — პროვოკაციის მსხვერპლი. ეს განსაკუთრებით ძნელია ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის, ვინც არჩევნებს აკვირდება და ვისი შეფასებებიც საარჩევნო პროცესის თაობაზე ქვეყნისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია.

მინდა, მაქსიმალური თავშეკავებისკენ მოვუწოდო ყველას, განსაკუთრებით, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს — ნუ აყვებით პროვოკაციებს, ნუ მივცემთ რადიკალურ ჯგუფებს იმის საშუალებას, რომ დააზიანონ საარჩევნო გარემო და ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაცია. ძალადობა და ქვის სროლა მათი ხელწერაა, სწორედ ასე მოვიდნენ ისინი თავის დროზე ხელისუფლებაში და დღესაც ასე სურთ გადაფარონ საკუთარი უპერსპექტივობა და გარდაუვალი მარცხი მოახლოებულ არჩევნებში.

ჩვენ ყოველთვის ვემიჯნებოდით ძალადობას. ესაა „ქართული ოცნების“ ხელწერა და სწორედ ეს გამოგვარჩევს ჩვენ მათგან.

უდავო ფაქტია, რომ ჩვენ ამჟამად ძალზე მყარი პოზიციები გვაქვს. „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად იმარჯვებს ამ არჩევნებში. ყველა კვლევა ადასტურებს, რომ ქართველი საზოგადოების უპრეცედენტო მხარდაჭერის ფონზე, ჩვენი საპროგნოზო მაჩვენებელი 54-დან 60%-მდე მერყეობს და რიგ შემთხვევებში, 63%-საც კი აჭარბებს.

შესაბამისად, დღეს ჩვენ ყველანაირი ძალისხმევა უნდა მივმართოთ არა დამატებითი ხმების მობილიზებისთვის, რაც ერთ ან ორ პროცენტში თუ ნახავს გამოხატულებას და არჩევნების შედეგებზე პრინციპულ გავლენას ვერ მოახდენს, არამედ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ არჩევნები მშვიდ და სამართლიან გარემოში ჩატარდეს და მის შედეგებში ეჭვის შეტანა ვერავინ შეძლოს.

ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა, მოვუწოდო საზოგადოებას, განსაკუთრებით „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს, ნუ ავყვებით პროვოკაციებს, გამოვიჩინოთ მაქსიმალური თავშეკავება, მოვთოკოთ ემოციები, რომ მშვიდად მივიდეთ არჩევნებამდე და მშვიდად გავაგრძელოთ ცხოვრება საქართველოს წარმატებისთვის“.

გიორგი გახარია:

31 ოქტომბერს ძალადობის გარეშე დავიცვათ ჩვენი წარმატება!

ყველამ ერთად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენ, ხვალინდელ დღეს, ჩვენს მოქალაქეებს მივცეთ შესაძლებლობა, ღირსეულად იშრომონ და ღირსეულად არჩინონ თავიანთი ოჯახები. რაც მთავარია, ჩვენ, ყველამ ერთად, წყნარად, მშვიდად, ყველანაირი ისტერიკის გარეშე, ზოგ შემთხვევებში რომ გვიწევს თვალყურის დევნება, უნდა მივიდეთ 31 ოქტომბრამდე და ღირსეულად, სამართლიან გარემოში, სამართლიან ბრძოლაში უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ დღეს „ქართულ ოცნებას“ აქვს მოქალაქეების მხარდაჭერა, ამიტომ ჩვენ არ გვჭირდება ვინმეს რაიმე ვუმტკიცოთ. ჩვენ გვჭირდება, მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ კანონის შესაბამისად, ყველანაირი ძალადობის გარეშე დავიცვათ ჩვენი წარმატება 31 ოქტომბერს.

კავკასიის კრიზისი და საქართველო 5

ნეიტრალიტეტი ყველაზე სწორი პოლიტიკაა...

„გაყინული კონფლიქტის“ გალღობაც და დასრულებაც შესაძლებელია! 5

უსაფრთხოების ექსპერტი ოლევს ნიკერსი ყარაბაღის კონფლიქტში კრემლის სამხედრო ჩართულობის შემაკავებელ ბერკეტს თბილისის პოზიციაშიც ხედავს

დავით სერგეენკო: ჯანდაცვა ბიზნესია, მაგრამ ადამიანი ამ ბიზნესშიც უმთავრესია!

დავით სერგეენკო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან 7 წლის განმავლობაში ჯანდაცვის მინისტრის თანამდებობას იკავებდა, დღეს კი „ქართულმა ოცნებამ“ საბურთალოს მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგინა. „კომერსანტთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში მან დარგის პოლიტიკაზე, გატარებულ რეფორმებზე, 520-ე დადგენილებასა და საყოველთაო დაზღვევაზე ისაუბრა.

— როგორ შეაფასებთ განვლილ პერიოდს, „ქართული ოცნების“მმართველობის 8 წელს რეფორმების კუთხით, ჯანდაცვის მიმართულებით,ასევე რას გამოარჩევდით, რომელი რეფორმა შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად და რა შეიძლებოდა კიდევ გაკეთებულიყო?

— ერთმნიშვნელოვნად უნდა გამოიყოს ადამიანის უფლებები, როგორც პრიორიტეტი. შედარებისთვის, და რადგან შედარება ყოველთვის მნიშვნელოვანია, წინა ხელისუფლებას მოვიყვან, რომლის პირობებში, ალბათ, ყველაზე სუსტი მხარე სწორედ ადამიანის უფლებები იყო. „ქართულმა ოცნებამ“ ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა და ეს მნიშვნელობა ბევრი ფორმით გამოიხატა. **მთავარი განმასხვავებელი სწორედ ადამიანის უფლებები იყო, როგორც პრიორიტეტი,** თავისი ფართო საკონსტიტუციო გაგებით და ადამიანის უფლებები, როგორც ჩაგვრის სამიზნე, ამ სიტყვის ასევე ფართო გაგებით.

იხ. 4 გვ.

შოთა ზოიძე

საქართველოში ჩემი ლექსები სულ მერცხლებივით იჭიკჭიკებენ 7



რაჭველებს მთელმა საქართველომ მადლობა უნდა გითხრათ!..

რაჭველებს საქართველომ მადლობა უნდა გითხრათ მთის შენარჩუნებისთვის, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ამბროლაურში, ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხისა და მესტიის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გოჩა ენუქიძის წარდგენისას განაცხადა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ვიდრე საქართველოს პარლამენტი მთის კანონს მიიღებდა, მთაში მცხოვრებ მოსახლეობას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა იმისათვის, რომ მამაპაპისეული ფუძე არ მიეტოვებინა.

„მოგესალმებით ამბროლაულელებო. პირველ რიგში, რაჭველებს საქართველომ მადლობა უნდა გითხრათ მთის შენარჩუნებისთვის — ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს მთაში და რაჭაშიც, მიგრაცია ყოველთვის ყველაზე დიდი პრობლემა იყო. ყველას კარგად გვესმის, რომ სანამ საქართველოს პარლამენტი მთის კანონს მიიღებდა, რა ძალისხმევა გჭირდებოდათ თქვენ, რომ მამაპაპისეული ფუძე არ მიგეტოვებინათ, სანამ ამბროლაურში აეროპორტი გაჩნდებოდა, სანამ დასრულდება ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, სანამ ელემენტარული საბაზისო ინფრასტრუქტურა შეიქმნება, რომელიც მისცემს რაჭველ ადამიანს შესაძლებლობას, დაუკავშირდეს დანარჩენ საქართველოს მარტივად, თანამედროვე გზებით. ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ ეს იყო ძალზედ რთული. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ საბაზისო ინფრასტრუქტურაზე — გზები, გაზი წყალი, სკოლები, საავადმყოფოები ამაზე ვსაუბრობთ იმიტომ, რომ მთაში, ამბროლაურში, ონში, ადამიანს ჰქონდეს ზუსტად იგივე ცხოვრების პირობები, როგორიც ექნება თბილისში, რომ ახალგაზრდას არ ჰქონდეს აუცილებლობა, რომ მოსწყდეს თავის კუთხეს. რა თქმა უნდა, ვისაც ეს უნდა, თორემ განათლების მისაღებად თბილისშიც უნდა წავიდეთ, ევროპაშიც, ამერიკაშიც და მთელი მსოფლიო უნდა მოვიაროთ, უნდა მივიღოთ საუკეთესო განათლება, რომ დავუბრუნდეთ ჩვენს კუთხეს“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ადამიანზე, თითოეულ უნიკალურ კუთხეზე ზრუნვა არის მმართველი გუნდის ძირითადი ამოცანა.

ყურძნის უპრეცედენტო რაოდენობა რაჭაში

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში ყურძნის მოსავლის ორგანიზებულად დაბინავების მიზნით, რთველის საკოორდინაციო შტაბი ქალაქ ამბროლაურში გაიხსნა. როგორც ღვინის ეროვნული სააგენტო იუწყება, წელს რაჭაში ღვინო „ხვანჭკარის“ სანედლეულო ბაზის, ალექსანდროულისა და მუჯურეთულის უპრეცედენტო რაოდენობას — 2500 ტონამდე მოსავალს ელოდებიან.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ლევან მეხუზლას განცხადებით, უხვი მოსავლისა და COVID-19 პანდემიის ფონზე მეღვინეობა-მევენახეობის დარგში არსებული გამოწვევების მიუხედავად, რაჭაში რთველი წარმატებით ჩატარდება და არც ერთი კილოგრამი ყურძენი ჩაუბარებელი არ დარჩება. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა მოსავლის დაბინავებას უკვე 10 ოქტომბრიდან შეძლებს.

„ხვანჭკარის“ ჯიშობრივი სიზუსტის მიზნით, რთველის პროცესში ჩართულები იქნებიან ამპელოგრაფები, ხოლო რეგიონის შემოსასვლელებში მოწყობილია სპეციალური ბლოკ-პოსტები, რათა არ მოხდეს ყურძნის სხვა მუნიციპალიტეტებიდან შემოტანა და მუჯურეთულ-ალექსანდროულში შერევა.

ყურძნის ჩასაბარებელი პუნქტები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში და ქალაქ ამბროლაურში გაიხსნება. რთველი დასასრულს უახლოვდება კახეთში, სადაც დღეის მონაცემებით, გადამუშავებულია 260 ათას ტონამდე ყურძენი.

ბიზნესმენი დავით ხიდაშელი 12 ოქტომბერს გაგვესაუბრება...

ბიზნესმენი **დავით ხიდაშელი, რომელმაც დავით გარეჯის საქმეზე კარტოგრაფიული რუკების დედნები ქართულ მხარეს მიაწოდა, თბილისში სავარაუდოდ ორშაბათს, 12 ოქტომბერს დაბრუნდება.**

როგორც დავით ხიდაშელმა საქართველოს პირველ არხს განუცხადა, ის მედიის შეკითხვებს უპასუხებს.

მისი თქმით აპირებს, რომ პრესკონფერენცია გამართოს. ამასთან, დავით ხიდაშელმა ზოგიერთ მედიასაშუალებაში გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომ რუკების დედნების მოპოვება რუსეთში საგარეო დაზვერვის დახმარებით მოახერხა და ის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადასცა, მცირე კომენტარი გააკეთა.

„მალე ვიქნები. ჰაერის მითებს გავაქარწყლებ, მათ შორის რუსეთზეც“, — განაცხადა დავით ხიდაშელმა.

როგორც ცნობილია, რუკების დედნები, რომლის საფუძველზეც საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემისკენ მიმართული მოქმედების განხორციელების ფაქტზე გამოძიება დაიწყო, ქართულ მხარეს ბიზნესმენმა დავით ხიდაშელმა გადასცა.

პანდემიის შედეგები სულ უფრო მძიმე ხდება

მსოფლიო ბანკი **საქართველოში 2020 წელს აბსოლუტური სიღარიბის ზრდას პროგნოზირებს. კორონავირუსის პანდემიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტად ღარიბ ფენას დაარტყა. თუკი ეპიდემია გახანგრძლივდება, სიღარიბის ჭაობში უფრო და უფრო მეტი ადამიანი აღმოჩნდება.**

მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული შეფასების თანახმად, კოვიდ-19-ის კრიზისით გამოწვეული უმუშევრობის შედეგად, ქვეყნის 160 000 მოქალაქე, შესაძლოა, სიღარიბეში აღმოჩნდეს. პარალელურად ბანკი 2020 წელს საქართველოს ეკონომიკის 6%-ით შემცირებას პროგნოზირებს, 2021 წლისთვის კი ქვეყნის ეკონომიკის 4%-იანი ზრდა არის ნავარაუდევი.

„საქართველოში ეკონომიკის მკვეთრი ვარდნა შენელდა ფისკალური მხარდაჭერით, კრედიტების სტაბილური ზრდით და ფულადი გზავნილების აღდგენით. მიუხედავად ამისა, 2020 წელს ეკონომიკის ზომა, სავარაუდოდ, 6%-ით შემცირდება, რაც ასახავს პანდემიის დასაწყისში მობილობაზე დაწესებულ მკაცრ შეზღუდვებს, სამუშაო ადგილების შემცირებას, ისევე როგორც საერთაშორისო ტურიზმზე დაწესებულ შეზღუდვებს, რომელიც პანდემიამდე საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 8 პროცენტს შეადგენდა.

ზემოქმედება ასევე მწვავე იქნება სოციალური თვალსაზრისით, 2020 წელს საქართველოს დაახლოებით 160000 მოქალაქე შეიძლება სიღარიბეში აღმოჩნდეს, ხოლო 400 000 ადამიანს შემოსავალი შეუმცირდეს. სავარაუდოდ, ეკონომიკის ზრდა 2021 წელს 4 პროცენტს მიაღწევს, რამდენადაც პანდემიასთან დაკავშირებული შოკები გაიფანტება და ტურიზმი აღდგენას დაიწყებს მომხმარებლებისა და ბიზნესის თავდაჯერებულობის მატებასთან ერთად“, — ნათქვამია მსოფლიო ბანკის განცხადებაში.

სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელის **სებასტიან მოლინეუსის** განცხადებით, ბანკი სრულ მზადყოფნას გამოთქვამს, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეკონომიკის პოსტპანდემიური აღდგენის პროცესში.

მარინა ენდელაძე: ამჟამად ყველაზე საშიში არის თბილისი

თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ბოქსირებული განყოფილების ხელმძღვანელი მარინა ენდელაძის ინფორმაციით დღე-ღამეში, საქართველოში კორონავირუსით გარდაცვლილ ექვსივე პაციენტს მძიმე თანმხლები დაავადებები ჰქონდა.

„ეს გამოიწვია რეგულაციების დაუცველობამ და გაუფრთხილებლობამ. ჩვენ ყოველდღე ვამბობთ, რომ რეგულაციების დაცვა აუცილებელია, ძალიან უნდა გავუფრთხილდეთ თბილისს, მოსახლეობის სიმჭიდროვის, რაოდენობის გათვალისწინებით, ამჟამად ყველაზე უფრო საშიში არის თბილისი და რაღაცნაირად უნდა მოვახერხოთ რეგულაციების სრულყოფილად დაცვა“...

„ორი გახლავთ გორში. მათგან ერთი იყო 58 წლის ქალბატონი, თანმხლები დაავადებებით, მესამეა ბათუმში, 68 წლის პაციენტი, იქაც იყო თანმხლები დაავადებები, ქობულეთში ორია, 55 და 61 წლის პაციენტები და ქუთაისში 81 ქალბატონი. ყველა ამ პაციენტს ჰქონდა მძიმე თანმხლები დაავადებები. მიღებული ღონისძიებების მიუხედავდ, მათი მდგომარეობიდან გამოყვანა ვერ მოხერხდა“, — განაცხადა მარინა ენდელაძემ.

გერმანია პანდემიასთან ბრძოლაში გვეხმარება

გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადასცა ხუთი სასუნთქი აპარატი კოვიდ-19-ით დაავადებული პაციენტების სამკურნალოდ. გერმანიის ელჩმა ჰუბერტ ქნირშმა აპარატები ოფიციალური ცერემონიის ფარგლებში 2020 წლის 7 ოქტომბერს გადასცა მინისტრის მოდგილეს თამარ გაბუნიას.

ფირმა „დრეგერის“ (Drager) ხუთი სასუნთქი აპარატის დაფინანსება და შეძენა განხორციელდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდიდან, რომელიც განკუთვნილია კოვიდ-19-ის პანდემიის დროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მხარდაჭერისათვის, რითაც გერმანული მხარის მიერ ადგილზე ხდება კონკრეტული დახმარების გაწევა ინფექციის გავრცელების საწინააღმდეგოდ. აპარატები განთავსდება ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში, ამიტომ ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს ინფექციური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორმა მანანა ეზუგბაიამ და ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა შოთა გოგიჩაიშვილმა.

სოფელ ერისიმედში პოლიციის სპეციალური საკონტროლო პუნქტი მოეწყო

საქართველოს **მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, COVID-19-ის გავრცელების პრევენციისა და მოქალაქეთა აქტიური მონიტორინგის მიზნით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ერისიმედში შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტროლო პუნქტი ამოქმედდა, სადაც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა სპეციალური საველე კარავი ააწყეს.**

როგორს შსს-ში აცხადებენ, სოფელში შემსვლელ და გამომსვლელ მოქალაქეებს ადგილზე უტარდებათ თერმოსკრინინგი. საჭიროების შემთხვევაში, მათ ადგილზევე ჩაუტარდებათ ტესტირება. **„სამართალდამცველები საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დასაცავად ინტენსიურ რეჟიმში ახდენენ პატრულირებას. პოლიცია პრევენციულ ღონისძიებებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებთან ერთად ატარებს“** — აცხადებენ სამინისტროში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აცხადებს ვაკანსიებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) ასარჩევად შემდეგ სპეციალობებში:**

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐ	ᲕᲐᲙᲐᲜᲡᲘᲐ
მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება	
ფიზიკა	1
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	
აგროეკოსისტემების მდგრადობა	1
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	
ქართულ-საზღვარგარეთული ლიტერატურული ურთიერთობები	1

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, საქართველოში მოღვაწე მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე მეცნიერი, რომელსაც საერთაშორისო დონის წვლილი აქვს შეტანილი მეცნიერების განვითარებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრობის (აკადემიკოსობის) კანდიდატთა წამოყენების უფლება აქვთ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად): სამეცნიერო საბჭოს, ან აკადემიის წევრის (წევრების) წარდგინება სათანადო დასაბუთებით, დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და იმ დაწესებულების ბეჭდით, სადაც იგი მუშაობს, კანდიდატის ავტობიოგრაფია, ფოტო 4/6, სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი, მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები აღინიშნება ვარსკვლავით), დარგის სპეციალისტის მიერ კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება (დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი).

კანდიდატის პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა სამუშაო ადგილიდან საქართველოში მისი მოღვაწეობის დასადასტურებლად.

საბუთები კანდიდატთა რეგისტრაციისათვის იგზავნება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში. განცხადებები მიიღება 2020 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზ., 52, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია (კადრების სამმართველო, IV სართული, ოთახი 409, ტელ. 2 93-29-86). საბუთები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს 11-დან 17 საათამდე.

აღნიშნული განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV) განთავსდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვებგვერდზე (www.science.org.ge), რისთვისაც წარმოდგენილ უნდა იქნეს CV-ის ელექტრონული ვერსიაც.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კადრების სამმართველოში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲠᲩᲐᲗ!

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ იმდენად ძლიერია, რომ ოპონენტებს მხოლოდ პროვოკაცია დარჩათ, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ განაცხადა. მმართველი პარტიის საარჩევნო სიის პირველი ნომერი აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები პროვოკაციებს არ უნდა წამოეგონ, რათა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვონ.

„ყველანი კარგად ვხედავთ, როგორ ძლიერად არის დღეს „ქართული ოცნება“ წარმოდგენილი ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ მინდა, ჩვენს თითოეულ მხარდამჭერს მოვუწოდო, რომ არ წამოვეგოთ არანაირ პროვოკაციებს. „ქართული ოცნება“ დღეს იმდენად ძლიერია, რომ ჩვენს მოწინააღმდეგეებს ერთადერთი, რაც დარჩენიათ, არის პროვოკაციები. ჩვენ უნდა გვქონდეს მოთმინების უდიდესი ძალა საერთო გამარჯვებისთვის, ქვეყნის გამარჯვებისთვის, რომ ეს ყველაფერი გადავიტანოთ ღირსეულად, მოვითმინოთ და სამართლიან ბრძოლაში უნდა გავიმარჯვოთ. ეს უნდა იყოს ქვეყნის გამარჯვება“...

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲕᲐᲛᲘᲭᲐᲛᲘᲐ ᲚᲔᲨᲔᲑᲡ ᲔᲑᲐᲠᲔᲑᲝᲓᲔᲗ!



ᲫᲘᲫᲐᲨᲘ ატეხილ ქარიშხალზე მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას.

ფარული ჩაწერის დიდოსტატმა, ე.წ. ჟურნალისტმა, ვინმე **ცხოვრებოვამ** „ტელეიმედს“ და მის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ნიკა ღალიაშვილს მიკერძოებაში და ჟურნალისტური ეთიკის დარღვევაში დასდო ბრალი.

თან, საკუთარი ხელმძღვანელი **ფარულად ჩაწერა** და მეტიც — **სააკაშვილის** ხელისუფლებასა და გოგონებს აახლა ეს ჩანაწერი **ე.წ. „მთავარ არხზე“**.

ე.წ. „ქარტიაშიც“ აფრინა განცხადება — მჩაგრავენ, თავისუფლებას მიზღუდავენ და მიშველეთო.

„ქარტიამაც“ არ დააყოვნა პასუხი და ჩვენი წესდების მეორე მუხლი დაარღვია „ტელეიმედის“ დირექტორის მოადგილემო — უსტარი აფრინეს. არადა, **თქვენივე კუთვნილი თუ თქვენით გულმოცემული მედიასაშუალებების სარედაქციო პოლიტიკა სწორედ პროფესიული თავისუფლების შეზღუდვასა და ქართული სახელმწიფოს ნგრევის ხაზზე გადის.** ესეც ორჯერ ორი რომ ოთხია, ისეა. ახალს და თქვენთვის გასაკვირს არაფერს ვამბობ.

თქვენა კი, ლენჩებო!

პირდაპირ გეტყვით ჩემს სათქმელს და აქვე დავაანონსებ: **დამითმეთ ეთერი თქვენს „დემოკრატიულ“ ტელევიზიებში და არ შეზღუდოთ ჩემი ჟურნალისტური თავისუფლება.**

დამითმოს ეთერი **„ფორმულამ“** და **პირველივე გადაცემა კეზერაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულებსა და ქართული ჯარის გაყვლეფის ანატომიას დაეთმობა!**

„მთავარ არხზე“ ჩემს საავტორო გადაცემაში **პირველივე გადაცემა ნიკა გვარამიას უზნეო და ბილწსიტყვაობით გაჯერებულ პროპაგანდას დაეთმობა!**

და პარალელურად — 26 მაისს სააკაშვილისა და მერაბიშვილის სადისტური ხელისუფლების მიერ დარბეული, ნაცემი და ნაწამები ჟურნალისტების დევნის „ქეისებს“!

პირველივე გადაცემაში გავუშვებ სულგანათლებული სულხან მოლაშვილის ექსკლუზიურ ინტერვიუს ძველი არქივიდან, სადაც ბოკერიასა და მის „ფაფარაშლილ ლომებს“ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში ადანაშაულებს და პირდაპირ ადებს ხელს!

მერწმუნეთ, მაყურებელიც გეყოლებათ და თქვენს ობიექტურობაზეც აღარ გაუჩნდება ქართველ ხალხს კითხვები.

არქივზე არ იდარდოთ.

„ნაციზმის ანატომია“ ტომებადაა დაარქივებული ქართველი საზოგადოების მეხსიერებაში...

P.S.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, რისი თავი გაქვთ, თქვე პროფესიულად და ზნეობრივად ჩამორჩენილებო...

მიყურადების, ფარული ჩანაწერებისა და მერე ამ ჩანაწერებით შანტაჟის მეტი, არაფრის თავი არ გაქვთ თქვენ!

ესაა სიმართლე!

სააკაშვილის სახელობის უზნეობის ქარტიას და გვამიჭამია ლეშებს ებარებოდეთ!

ᲕᲐᲖᲘᲡ ᲯᲘᲨᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲜᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲯᲘᲚᲐᲣᲠᲐᲡ ᲑᲐᲖᲐᲖᲔ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ **მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მოლეკულური მარკირების (დნმ) ლაბორატორიაში, დნმ-ის მარკერების გამოყენებით, ვაზის ჯიშების იდენტიფიკაცია მიმდინარეობს.** ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ავრცელებს.

„დღეისთვის, გამოკვლეულია ვაზის 50 ჯიში, მათ შორის, 20 იშვიათი, 10 უცხოური და, ასევე, ვაზის ველური ფორმები. დნმ ლაბორატორიამ კვლევებიდან მიღებული მონაცემების ვალიდურობის შეფასებისთვის და მათთან შედარების მიზნით, ექსპერიმენტში სხვა ქვეყნის ლაბორატორიების მიერ უკვე კარგად გამოკვლეული ვაზის ქართული 10 ჯიშიც ჩართო.

ანალიზური კვლევები საკმაოდ რთულ პროცესებს მოიცავს — შერჩეული ვაზის ჯიშების ინდივიდების ნიმუშებიდან დნმ-ის ექსტრაქცია (გამოყოფა), 9 წყვილი სპეციფიკური პრაიმერების გამოყენებაზე დაფუძნებული პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეშვეობით ჯიშების იდენტიფიცირება და ვაზის ქართული ჯიშების გენომების ბიოინფორმატიული ანალიზი. მოლეკულური მარკირების ლაბორატორია ზოგიერთ ექსპერიმენტს სოფლის მეურნეობის ლაბორატორიასთან ერთად ახორციელებს. მიღებული შედეგებით, ვაზის გლობალურ პოპულაციებში, ადგილობრივი ჯიშების ფილოგენიის შესწავლა და მათი გენეტიკური ნათესაობის განსაზღვრა მოხდება. ანალიზური კვლევებით ასევე შესაძლებელი ხდება ვაზის დომესტიკაციის პროცესის შეფასება.

მოლეკულური მარკირების ლაბორატორია ჯილაურას მრავალწლოვანი კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო ბაზაზე გაშენებული ვაზის ქართული 470 კულტურული ჯიშის და 150-მდე ველური ფორმის დნმ იდენტიფიკაციას ეტაპობრივად გეგმავს“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

დავით სერგეენკო:

ჯანდაცვა ბიზნესია, მაგრამ ადამიანი ამ ბიზნესშიც უმთავრესია!

(პირველი გვერდიდან)

— უნდა იყოს თუ არა ჯანდაცვა კლასიკური გაგებით ბიზნესი?

— ჯანდაცვაში, როგორც ეკონომიკის სხვა მიმართულებებში, მიმდინარეობს ეკონომიკური პროცესები, მათ შორის მოგების გენერაცია. ამ მხრივ, ჯანდაცვა ბიზნესის ნაწილია, თუმცა, მას აქვს თავისი დამახასიათებელი სპეციფიკა, რომლის გათვალისწინების გარეშეც რთული იქნება ამ საკითხზე მსჯელობა. დავასახელებ ორ განმასხვავებელ ნიშანს. ჯანდაცვის სისტემაში არსებობს ასეთი ეკონომიკური ფენომენი — ასიმეტრიული შესყიდვა, თუ სიმეტრიული შესყიდვის დროს მყიდველი განსაზღვრავს შესაძენი ნივთის ან სერვისის სპეციფიკაციას და ბიუჯეტს, თავად ახდენს გადაწყვეტილების მიღებას, ასიმეტრიულის შემთხვევაში სერვისის შემსყიდველს აქვს ძალიან არასრული და ბუნდოვანი მოცემულობა. მაგალითად, ადამიანს თავი სტკივა, მიდის კლინიკაში და კლინიკა თავად განსაზღვრავს, თუ რა კვლევები უნდა ჩატარდეს. მეორე საკითხია ის, რომ **თუ კლასიკურ ეკონომიკაში მოთხოვნა ბადებს მიწოდებას, ჯანდაცვაში ეს პირიქით ხდება, მიწოდება აჩენს მოთხოვნას**. რაც უფრო მეტია სამედიცინო სერვისის მიწოდება, მით მეტი მოქალაქე მიმართავს ამ სერვისებს. ეს არ ნიშნავს,რომ ერი ან ქვეყანა ავადდება, უბრალოდ, ასეთია სპეციფიკა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, **ჯანდაცვა ბიზნესია და ეს სისტემა უნდა დაიგეგმოს**.

— თქვენი მმართველობის პერიოდში ძალიან აქტუალური იყო საყოველთაო ჯანდაცვა, რომელიც ყველაზე წარმატებულად სახელდებოდა, თუმცა, სანამ ამ საკითხს განვიხილავთ, მანამდე 520-ე დადგენილებაზე რომ ვისაუბროთ, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში ექიმების მხრიდან წინ წამოიწია. რა იყო ამ დადგენილების მიღების მიზეზი და რა პრობლემატიკა დგას მის უკან?

— სფეროს აქვს თავისი გამოწვევები და მთავრობა მათზე რეაგირებას ახდენს. 520-ე დადგენილება ერთ-ერთი რგოლია. არ ვთვლი, რომ ის საკვანძო დადგენილებაა, მაგრამ ამ რეფორმების მწკრივში ის ერთ-ერთი რგოლია, რომელიც ყველა ქვეყანას სჭირდება ჯანდაცვის სისტემაში იმისთვის, რომ უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს. **ასეთი დადგენილებები მომავალშიც იქნება, რათა მოსახლეობამ მიიღოს ხარჯეფექტური და ხარისხიანი სერვისები.**

— 520-ე დადგენილებით, სამედიცინო დაწესებულებების გარკვეული ნაწილისთვის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ზღვარი ხშირ შემთხვევაში უფრო ნაკლები იყო, ვიდრე თვითღირებულება იმ მომსახურებისა, რასაც ისინი გასცემდნენ. როგორ ფიქრობთ, რამდენად გამართლებული იყო ამ ზღვარის დადება? გასაგებია, რომ მოსახლეობისთვის ჯანდაცვა უნდა იყოს ხელმისაწვდომი, მაგრამ მეორე მხარეს დგანან სამედიცინო დაწესებულებები.

— სამედიცინო სერვისების ანაზღაურების ზღვარი ნებისმიერ ქვეყანაში ყოველთვის დადგენილი იყო და ამ პროცესს ესა თუ ის მეთოდოლოგია უზრუნველყოფს. 520-ე დადგენილება არ გამხდარა ზღვარის დაწესების დადგენილება, ასეთი ზღვარი ყოველთვის არსებობდა. რაც შეეხება იმას, თუ რომელ სფეროსა და სერვისს შეეხო, მე ვფიქრობ, რომ გადამწყვეტი არის დეტალური კომუნიკაცია სფეროს სპეციალისტებთან. წამყვანი საკითხი ამ შემთხვევაში არა სერვისების თვითღირებულება, არამედ გარკვეული სახარჯო მასალების ღირებულებაა, რომელიც სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ კონსოლიდირებული შესყიდვებით შეეძინა. ასეთი მიდგომა უკვე არსებობდა, მაგალითად, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში, ახლა კი ეს მიდგომა კიდევ უფრო ფართოვდება. **ჩემი აზრით ცვლილებები ყოველთვის საჭირო იყო, ანაზღაურების სისტემაც ყოველთვის დახვეწას საჭიროებს და ეს სულ ასე გაგრძელდება.**

— როგორ შეაფასებთ ჯანდაცვის სისტემას, რამდენად წარმატებული პროექტი გამოდგა. თავდაპირველად, ეს იყო საყოველთაო ჯანდაცვა. რამდენად სწორად დაიგეგმა, მდიდრებზეც და ღარიბებზეც სწორად გადანაწილდა?

— საყოველთაო ჯანდაცვა დაიწყო იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ნახევარი სარგებლობდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სერვისების უზრუნველყოფით. ეს იყო მოდელი, რომელსაც ერქვა მიზნობრივი ჯანდაცვა. სახელმწიფო უზრუნველყოფდა მხოლოდ სოციალურად დაუცველებს, ასაკით პენსიონერებს, 6 წლამდე ბავშვებსა და პედაგოგებს. როდესაც საყოველთაო ჯანდაცვა დაიწყო, ჩვენ დასახმარებლად შევედით ადამიანთა იმ რაოდენობასთან, რომლებიც არანაირი სახის უზრუნველყოფით არ სარგებლობდნენ. ისინი არ იყვნენ ჩამოთვლილი კატეგორიიდან არცერთი და არ ჰქონდათ კერძო დაზღვევა. ასეთი ადამიანების რიცხვი ჩვენი მოსახლეობის 40%-ზე მეტი იყო. ჩვენ ამ ადამიანებს მხარში ამოვუდექით. იყო კითხვა, თუ რატომ ეხმარება სახელმწიფო ყველას თანაბრად. რეალურად, დახმარების პაკეტები განსხვავებულია. 2013 წელს ჩვენ ომის ვეტერანები დავამატეთ — მათ ყველაზე დიდი პაკეტი აქვთ. შემდეგ მოდიან სოციალურად დაუცველები, ასაკით პენსიონერები და ა.შ. მოსახლეობის ნახევარზე მეტის პაკეტი შედარებით მცირე იყო.

შესაბამისად, დახმარების მოცულობა თანაბარი არ ყოფილა, ის იყო საჭიროებებზე დაფუძნებული. **საყოველთაო ჯანდაცვა არის ისეთი სისტემა, რომელმაც ქვეყნის ყველა მოქალაქე უნდა დაიცვას კატასტროფული ფინანსური ხარჯებისგან. ეს საჭიროება სხვადასხვაა ყველა კატეგორიისთვის.** 2013 წლის 28 თებერვალი იყო საყოველთაო ჯანდაცვის დაბადების დღე. მაშინ საყოველთაო ჯანდაცვა მოქმედებდა მათზე, ვისაც არ ჰქონდა კერძო დაზღვევა, რადგანაც ჩვენ შემოსავლების დიფერენცირების დრო არ გვქონია. თუმცა, 2016 წელს, თუ იქამდე მხოლოდ ერთი ინდიკატორით იყო გაყოფილი, რომ მოქმედებს ან არ მოქმედებს ჯანდაცვა, 2016 წლიდან გაიყო უკვე 5 კატეგორიით.

— ჩვენი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბიუჯეტი რამდენად იყო დაგეგმილი, რომ ეს მოსალოდნელი ხარჯები დაეფარა?

— საერთაშორისო ორგანიზაციები ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის შესაფასებლად, რაოდენობრივი დანახარჯების მხრივ, იღებენ იმ ციფრს, რასაც ხარჯავს სახელმწიფო მშპ-დან ჯანდაცვაზე. დასაბუთებულია, რომ მშპ-დან 5%-ის ზემოთ იწყება სტაბილური ჯანდაცვა, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს ყველა საჭიროება, მათ შორის მედიკამენტები. 2012 წლის მდგომარეობით, საქართველოს მთავრობა მშპ-ს 1%-ზე ნაკლებს ხარჯავდა. შედარებისთვის, ეს მონაცემები ცენტრალური აფრიკის ქვეყნების მონაცემთა მსგავსია. მას შემდეგ, ჯანდაცვის ბიუჯეტი გაიზარდა თითქმის სამჯერ და დღეის მდგომარეობით 2.9%-ს შეადგენს. ის, რომ გასამმაგდა, არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც ჩვენ გვაქვს იმდენი თანხა, რომ უზრუნველვყოთ ყველა საჭიროება. შედარებისთვის, თუ საქართველო მშპ-ს 2.9%-ს ხარჯავს, აღმოსავლეთ ევროპისთვის ეს რიცხვი 4-5%-ია, დასავლეთ ევროპისთვის — 8-12%, ხოლო აშშ-ში — 17%. ეს პროცენტები უკვე გვაძლევს გარკვეულ სურათს. ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ სახელმწიფოს მიერ გადახდილი ფული საქართველოს შემთხვევაში 120 დოლარის ეკვივალენტია ყოველწლიურად, აღმოსავლეთ ევროპაში — 3-5 ათასი დოლარი, დასავლეთ ევროპაში — 10-12 ათასი დოლარი, აშშ-ში — 16 ათასი დოლარი. შევადაროთ ეს ყოველივე გასამმაგების შემდეგ, ახლა ჩვენთან 12 დოლარია. ეს არის ჩვენი პარიტეტი. ისინი, ვისაც არ უნდა ამ სიკეთის დანახვა, ძირითადად, ოპონენტებს, ცდილობენ, რომ დააკნინონ, ამბობენ, რომ უყაირათოდ იხარჯება მილიარდები. საშუალო დანახარჯი საყოველთაო ჯანდაცვის პირობებში ერთ ადამიანზე არის 22 ლარი თვეში. ეს არის სადაზღვევო პოლისი, რომელსაც ყიდულობს მოქალაქე. **ვერავინ უზრუნველყოფს ისე ხარჯეფექტურად, 22 ლარად თვეში იმ სერვისების მიწოდებას, რასაც საყოველთაო ჯანდაცვა აკეთებს**. ამით არის სწორედ ის გამორჩეული. ეს არამარტო ჰუმანიტარული აქციაა, ასევე ხარჯეფექტური მიდგომაა, ზრუნვაა, ათეულობით ათასი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა.

— რომ შეაფასოთ სახელმწიფო და კერძო სამედიცინო სერვისი, რამდენადაა ერთმანეთთან თანხვედრაში ხარისხობრივად?

— ჯანდაცვის სისტემა და ინფრასტრუქტურა კერძოც უნდა არსებობდეს და სახელმწიფოც. ეს უნდა იყოს დაბალანსებული. კერძოს აქვს თავისი გამოკვეთილი პლუსები მას შეუძლია მოქნილი და ხარისხიანი სერვისების მიწოდება. ეს კერძოს ბუნებაა და არა ის, რომ საიდანღაც სუპერმენეჯერები მოჰყავთ, სახელმწიფომ კი უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ კომერციული მომგებანობა. სახელმწიფო დაწესებულებებმა მიიღეს ეს დარტყმა თავისთავზე. **მსოფლიოში ბალანსი ქვეყნების მიხედვით არის ის, რომ ნებისმიერი ქვეყანა მართვაში იტოვებს დაწესებულებების მინიმუმ მესამედს, რათა შეინარჩუნოს სახელმწიფო ინტერესების გატარების შესაძლებლობა.** ერთადერთი გამონაკლისია ნიდერლანდები, სადაც კლინიკების 100% არის კერძო, მაგრამ ამ 100%-დან 70% არის კერძო, არამომგებიანი და ამ პოლიტიკის შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართული აკადემიური წრეები. ეს ბალანსი დაცული უნდა იყოს, ჩვენთან, სამწუხაროდ, 2010 წელს ეს ბალანსი დაირღვა, რადგან 1 წლის განმავლობაში 80%-ზე მეტის პრივატიზაცია მოხდა და ახლაც გვაქვს ეს დისბალანსი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ კერძო სექტორის წინააღმდეგი ვართ — უბრალოდ, უნდა იყოს სწორი ბალანსი.

— როგორ შეაფასებთ კერძო სექტორში სამედიცინო კუთხით არსებულ კონკურენტულ გარემოს? ხშირად ისმის ბრალდებები, რომ ოლიგოპოლიური ბაზარია, თუნდაც ფარმაციის მიმართულებით, თქვენი ხედვა და შეფასება როგორია?

— კერძო კლინიკებს შორის კონკურენცია ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილია, თუმცა, იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ პოტენციური ოლიგოპოლიური შეთანხმებები, მიღებულია მეთოდები,როგორ უნდა მოიქცეს ქვეყანა ასეთ შემთხვევაში. მაგალითად, აშშ 80-იანი წლების ბოლოს წაიწყდა ამ პრობლემებს და 90-იანებში მოაგვარა; ევროპაში 2000-იანების დასაწყისში იყო, ჩვენ კი ეს პროცესი სამი წლის წინათ დავიწყეთ. ამ მეთოდს ჰქვია სელექტიური კონტრაქტირება, როდესაც სანებართვო პირობების ზევით სახელმწიფო აწესებს დამატებით პირობებს, რომ მათ, ვისაც გინდათ ეთანამშრომლოთ სახელმწიფოს და მიიღოთ ბიუჯეტიდან ფული, თქვენ უნდა დააკმაყოფილოთ დამატებითი პირობები, მოგვცეთ სხვადასხვა სახის აუდიტის ჩატარების შესაძლებლობა. ამ დროს თქვენი არაპირდაპირი ხარჯები, ანუ მენეჯმენტზე წასული ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს X რაოდენობას. თქვენ ასევე უნდა შეგეძლოთ ისეთი სერვისების მიწოდება, რომელიც მთლიან სპექტრს მოიცავს. ეს პროცესი სამშობიარო სახლების მიმართულებით უკვე დაწყებულია, რასაც საკმაოდ მძაფრი ინტერესთა კონფლიქტი მოჰყვა მაშინ, თუმცა, შედეგიც რამდენიმე თვეში მივიღეთ — გამოიკვეთა სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირების ტენდენცია. იგივე ლოგიკა იქნება გამოყენებული ყველა სხვა კლინიკასთან მიმართებაში.

— საუბარი იყო „ევექსთან“ დაკავშირებით, რომ ეს კომპანია ბაზარზე რამდენიმე მიმართულებითფუნქციონირებს, თქვენი ოპონენტებიც მის ლობისტად გასახელებდნენ. როგორ შეაფასებდით „ევექსის“ საქმიანობას, რამდენად კონკურენტულ გარემოში მუშაობს ეს კომპანია?

— „ევექსი“ იყენებს ვერტიკალური ინტეგრაციის მოდელს, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთსა და იმავე მესაკუთრეს აქვს, მაგალითად, ფარმაწარმოება, სადაზღვევო კომპანია, კლინიკა, სასწრაფო დახმარების სერვისები და ა.შ. ვერტიკალური ინტეგრაცია ბიზნესპროცესებში და ინდუსტრიაშიც მიღებული მოდელია. ჯანდაცვაში ეს პოპულარული არ არის, მაგრამ გარკვეული პერიოდი, ჩვენ გვიწევს მასთან ერთად თანაცხოვრება. **ეს გაგრძელდება მანამდე, სანამ სახელმწიფო ვერ შექმნის 2010 წლის მანძილზე გამოწვეულ დისბალანსში მძლავრ კერძო-სახელმწიფო პარტნიორობაზე დაფუძნებულ კლინიკებს, რომლებიც ხარისხის მაღალ თამასას დაამკვიდრებენ და კარგი გაგებით, იძულებულს გახდიან სხვა კლინიკებს, რომ საუკეთესო ხარისხის ნიშნულს მიაღწიონ.** ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება კონსულტაციები, თუ რამდენად მისაღები იქნება ახალ რეალობაში ვერტიკალური ინტეგრაციის მოდელი. ახლა ისინი არსებობენ.

— ეთანხმებით თუ არა სავალდებულო კერძო დაზღვევის სისტემის არსებობას, უნდა იყვნენ თუ არა განვითარებულები ეს კომპანიები, რომლებიც ხარჯებს აარიდებენ სახელმწიფოს და უკეთეს სერვისს შესთავაზებენ მომხმარებლებს და დასაქმებულებს?

— ჯანდაცვის ინდუსტრიაში კერძო სადაზღვევო სექტორის არსებობა აუცილებელია სწორი ბალანსისთვის. იგი ბევრ ქვეყანაში მოქმედებს და გამოირჩევიან იმით, რომ მაღალეკონომიკური შემოსავლის მქონე ქვეყნები არიან. ეს საკითხი რამდენჯერმე წამოიწია და შევეცდები, რომ საზოგადოებას იგი არა ერთი კუთხით, არამედ დამატებით სხვა კუთხეებიდან დავანახო. საკითხი დგას ასე: თუ კი შემოიღებენ სავალდებულო კერძო დაზღვევას, ამით სახელმწიფო ბიუჯეტს მიეცემა შვება. მოდით, შევხედოთ მეორე კუთხით, თუ კი დამსაქმებელი, მაგალითად, წვრილი და საშუალო ბიზნესი გახდება ვალდებული, რომ კერძო დაზღვევით უზრუნველყოს თავისი თანამშრომელი და უყიდოს სადაზღვევო პოლისი, ამას ხელფასის დაკლების ხარჯზე გაიკეთებენ, იმიტომ, რომ მათ არ აქვთ იმდენი ფინანსური ბუფერი, რომ ეს ტვირთი აიღონ თავის თავზე, ამიტომ მათ უნდა ვკითხოთ აზრი. მესამე და რეალურად, პრიორიტეტით პირველი საკითხი, დაბალი და საშუალო შემოსავლის ადამიანები არიან, რომლებიც ახლა ნაწილობრივ სარგებლობენ საყოველთაო ჯანდაცვის გარკვეული პაკეტით. თუკი ისინი გადავლენ სავალდებულო კერძო დაზღვევაზე, მათაც უნდა ვკითხოთ, რამდენად მისაღებია მათთვის, რომ ან ხელფასი დააკლდებათ, ან თანაგადახდა მოუწევთ დამსაქმებელთან ერთად. ასე არ დგას საკითხი, რომ რატომ ვერ ხედავს სახელმწიფო სავალდებულო კერძო დაზღვევის უპირატესობას. არამც და არამც, აუცილებლად უნდა მიექცეს ამ ფაქტორებს ყურადღება.

— რამდენად გაუმკლავდა საქართველოს ჯანდაცვის სისტემა პანდემიას,რამდენად გაუძლო ამ გამოწვევას და რა იგეგმება სამომავლოდ?

— იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ჯერ კიდევ კოვიდ 19-ის პანდემიის აღმავლობის პიროებებში ვიმყოფებით, ფინალური შეფასების გაკეთება შეუძლებელია. შუალედური შეფასებით, ციფრები შედარებადია და არამარტო რეგიონის, არამედ სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ავადობა და სიკვდილიანობა, ბოლო დღეების მიუხედავად, მაინც ნაკლებია. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, იყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბრწყინვალე მუშაობა, რომელმაც შეძლო ბევრი შემთხვევის პრევენცია. როდესაც ნახულობდა ერთ შემთხვევას, გადიოდა კვალზე, კონტაქტზე, გადაჰყავდა ის თვითიზოლაციაში ან კარანტინში და არ აძლევდა საშუალებას ინფექციას, რომ კასკადურად გავრცელებულიყო. ამით მნიშვნელოვანი დარტყმა ააცილა ჰოსპიტალურ სექტორს. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი არის უწყებათაშორისი კომუნიკაცია. ის ზომები, რომელიც აუცილებელი იყო ამ ტალღის შეკავებისთვის, შეუძლებელია, რომ საზოგადოებრივ ჯანდაცვას ან მთლიან ჯანდაცვას მიეღო. ეს კი სხვადასხვა სამთავრობო უწყებების კოორდინირებული მუშაობის შედეგი იყო.

მომავალი როგორი იქნება, ეს უახლოეს პერიოდში გამოჩნდება. ბოლო დღეებში გაუთვალისწინებელი „აფეთქების“ წინაშე აღმოვჩნდით.

უახლოესი წლების განმავლობაში, თუ მომავალ 4 წელს ავიღებთ, ჩემი აზრით, კოვიდის პერიოდში ეკონომიკურ სიძნელეებთან ბრძოლა და ეკონომიკის აღდგენა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იქნება.

„კომერსანტი“

„გაყინული კონფლიქტის“ გაღვიძებაც და დასრულებაც შესაძლებელია!

უსაფრთხოების ექსპერტი ოლევს ნიკერსი ყარაბაღის კონფლიქტში კრემლის სამხედრო ჩართულობის შემაკავებელ ბერკეტს თბილისის პოზიციაშიც ხედავს

რამდენად სავარაუდოა ყარაბაღის პროცესებში რეგიონალური აქტორების ჩართულობის რისკი, როგორ უნდა დაიცვას საქართველომ საკუთარი ნეიტრალური პოზიცია და როგორი უნდა იყოს საერთაშორისო ჩართულობა პროცესების განსამუხტად – ამ საკითხებზე „აქცენტი“ ბალტიის ქვეყნების უსაფრთხოების ფონდის პრეზიდენტ ოლევს ნიკერსს ესაუბრა.

რეგიონალური აქტორების ჩართულობის რისკი

ოლევს ნიკერსს ნაკლებად სავარაუდოდ მიაჩნია, რომ თურქეთმა სომხეთის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციაში მიიღოს მონაწილეობა.

„პირველ რიგში, ორივე ქვეყნისთვის – რუსეთისა და თურქეთისთვის ეს კონფლიქტი რეგიონალური ძალაუფლებისთვის მორიგი თემაა. შექმნილ ვითარებაში რუსეთი უფრო რთულ მდგომარეობაში იმყოფება: მართალია, მოსკოვს ერევანთან გარკვეული უსაფრთხოების შეთანხმება აქვს, მაგრამ მას ასევე სურს, აზერბაიჯანთან კარგი ურთიერთობები შეინარჩუნოს, რადგან ამ შემთხვევაში სასწორზე ეკონომიკური ინტერესები დევს. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთთან რუსეთის სამხედრო კავშირი უსაფრთხოების გარკვეულ გარანტიებს ითვალისწინებს, მისი გამოყენების საკითხი არც ერთ მხარეს ამ დრომდე სერიოზულად არ განუხილავს. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უსაფრთხოების ეს გარანტიები ძალაში შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში შევიდეს, თუ მესამე მხარის მიერ სომხეთის ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე შეექმნება, რაც დღევანდელ სიტუაციაში ასე არ არის. თუ თურქეთი სომხეთის წინააღმდეგ სომხეთის ტერიტორიაზე საბრძოლო ოპერაციებს ჩაატარებს, მაშინ რუსების მხრიდან მისი სამხედრო მოკავშირის მხარდაჭერის საკითხი დღის წესრიგში დადგება, თუმცა, ვფიქრობ, ეს ყველაზე ნაკლებად სავარაუდო სცენარია“, – განუცხადა ანალიტიკოსმა „აქცენტს“.

როგორ უნდა დაიცვას საქართველომ საკუთარი ნეიტრალური პოზიცია?!

ნიკერსი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებას, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით ქვეყნის სახმელეთო და საჰაერო მარშრუტებით გატარების შეჩერების თაობაზე, თბილისის ნეიტრალური პოზიციის ერთ–ერთ დასტურად მიიჩნევს.

„ჩემი აზრით, საქართველომ მტკიცე პოზიცია უნდა შეინარჩუნოს რუსეთთან დაკავშირებით – არ დაუშვას მისი ტერიტორიის გავლით სამხედრო ტვირთის სომხეთსა და აზერბაიჯანში ტრანზიტი. ამ ტრანზიტის შეჩერება ხაზს უსვამს საქართველოს ნეიტრალურ პოზიციას და რაც ყველაზე მთავარია, ტრანზიტის შეჩერება კონფლიქტში რუსეთის სამხედრო ჩართულობის წინააღმდეგ შემაკავებელი პოლიტიკისთვის დამატებითი ბერკეტია“, – აცხადებს ნიკერსი.

კონფლიქტის ესკალაციის ზეგავლენა რეგიონზე და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, ყარაბაღის კონფლიქტში რუსეთის სამხედრო ჩართულობის შემთხვევაში, შეიძლება, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება საფრთხის ქვეშ დადგეს:

„რა თქმა უნდა, საქართველო დაინტერესებულია, რომ ეს კონფლიქტი, რაც შეიძლება მალე დასრულდეს. რეგიონში ცეცხლის გავრცელება ყველა მეზობელი ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვის ყველაზე ცუდი სცენარი იქნება. თუ საქართველოს სტრატეგიულ მდებარეობას გავითვალისწინებთ, რუსეთის სამხედრო ჩართულობის შემთხვევაში, შეიძლება, საფრთხე შეექმნას საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას“.

საქართველოს ინიციატივა და საერთაშორისო ჩართულობა

ნიკერსი საქართველოს ხელისუფლების მიერ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დიალოგისთვის თბილისში შეხვედრის თაობაზე შეთავაზებასაც ეხმიანება და აცხადებს, რომ თბილისი ნეიტრალური მასპინძლის როლს ძალიან კარგად შეასრულებს.

„საქართველოს შეთავაზება, ხელი შეუწყოს თბილისში შეხვედრის გამართვას, ძალიან კარგი ალტერნატივაა მოლაპარაკებების სხვა ფორმატებისა, რომლებიც არაეფექტური აღმოჩნდა. ეუთოს ფორმატმა შეიძლება, არ მოიტანოს სასურველი შედეგი, როგორც ეს აქამდე ბევრჯერ მომხდარა. სადღეისოდ ვითარება კიდევ უფრო რთულია, რადგან კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარე მტკიცედ აცხადებს, რომ წარმატების მიღწევისთვის ნებისმიერ ფასად იბრძოლებს. უახლოესი რეგიონული პარტნიორებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით უნდა მოიძებნოს გამოსავალი, შედგეს დიალოგი და ჩემი აზრით, ნეიტრალური მასპინძლის როლს საქართველო ძალიან კარგად შეასრულებს. პირველ რიგში, ორივე მტრულად განწყობილი მხარე, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაჯდეს მოლაპარაკებების მაგიდასთან, მაგრამ რეგიონალურმა ძალებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოლაპარაკებებში მონაწილე სხვა მხარეებს ჰქონდეთ ნეიტრალური პოზიცია. ამავე დროს, უნდა გამოიძებნოს რეგიონში მშვიდობის დამყარების საერთო საფუძვლები, რაც შექმნის შესაძლებლობას, დასრულდეს ეს „გაყინული კონფლიქტი“, რომელიც ათწლეულებია გრძელდება“, – დასძინა ნიკერსმა

კავკასიის კრიზისი და საქართველო

ნეიტრალიტეტი ყველაზე სწორი პოლიტიკაა...



2020 წელი მსოფლიო პოლიტიკისთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. გამონაკლისი არც კავკასიის რეგიონია. ამ რეგიონში მიმდინარე მოვლენები კი უშუალო კავშირშია ჩვენი ქვეყნის, საქართველოს, ეროვნულ უსაფრთხოებასთან, რომელიც პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური, სამართლებრივი, სოციალური თუ გეოსტრატეგიული კომპონენტებისგან შედგება. მიმდინარე პროცესებში კი მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ როგორც საქართველოს როლი, ასევე მოსალოდნელი საფრთხეები და რისკ-ფაქტორები.

წლეულს კავკასიის რეგიონში სიტუაცია ივლისის თვეში დაიძაბა. ამ დროს საქართველოს ორი მეზობელი სახელმწიფო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს საკუთარ საზღვრებთან შეიარაღებული ძალებით დაუპირისპირდა. ამ მომენტში კონფლიქტის კერა აზერბაიჯანის თოვუზის რაიონისა და სომხეთის ტავუშის ოლქის საზღვარზე მდებარეობდა, რაც საქართველოს საზღვრიდან 55 კილომეტრითაა დაშორებული. სამხედრო დაპირისპირების სწორედ ამ არეალში მდებარეობს საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო დერეფანი.

- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი (1770კმ).
- ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი (970კმ).
- ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა (825კმ)

ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ნაწილში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებს ემატება ისიც, რომ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და მეზობელი სახელმწიფო, თურქეთი, მიმდინარე პროცესებში სრულ მხარდაჭერას უცხადებს აზერბაიჯანს. იმისათვის, რომ შევაფასოთ თურქეთის ჩართულობის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, თუ რა როლს ასრულებს იგი საქართველოს ეკონომიკაში. ამ შემთხვევაში საგულისხმოა, რომ საქართველოსთვის სავაჭრო ბრუნვის მიხედვით პირველი პარტნიორი თურქეთია და ასევე საერთო ბრუნვაში მას საშუალოდ 15% უჭირავს. ამაზე დაყრდნობით შეგვიძლია, ვთქვათ, რომ აღნიშნულ კონფლიქტში თურქეთის ჩართულობის ხარისხი გარკვეულ ზემოქმედებას გამოიწვევს საქართველოს ეკონომიკაზე, რასაც ჩვენი სახელმწიფო მომზადებული უნდა შეხვდეს. ამ სიტუაციაში თურქეთი არის სახელმწიფო, რომელიც გარკვეულწილად კვეთს რუსეთის ინტერესებს, რომ გააძლიეროს გავლენა რეგიონში. ამავდროულად, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ იგი ნატოს წევრი და ეუთოს მინსკის ჯგუფის სახელმწიფოა. გარდა ამისა, თურქეთი ღიად უჭერს მხარს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას.

რაც შეეხება რუსეთს, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში რუსეთი ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე სახელმწიფოდ გვევლინება. თუმცა, მისი ინტერესი, რომ მან რაც შეიძლება დიდი ხნით შეინარჩუნოს კავკასიის რეგიონში გავლენა, უცვლელი რჩება. ჩემი დაკვირვებით, მინდა, აღვნიშნო, რომ სახელმწიფოებს, რომლებიც ფლობენ რეგიონში გარკვეულ ძალაუფლებას, ასევე გააჩნიათ კონფლიქტის კერების კონსერვაციის შესაძლებლობა. (საყურადღებოდ მიმაჩნია ის ფაქტიც, რომ კონფლიქტის ამგვარი გამწვავება ემთხვევა როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე საქართველოში მიმდინარე წინასაარჩევნო ვნებათაღელვას). საუბარი მაქვს, სიტუაციის ერთგვარ დამძიმებისა და შერბილების მექანიზმზე. მოცემულ სიტუაციაში, რუსეთის მიზანს წარმოადგენს ის, რომ შეინარჩუნოს დაძაბული ვითარება გარკვეული საზღვრების ფარგლებში, რაც მას მისცემს ისეთი პოზიციონირების საშუალებას, რომ ერთი მხრივ, თავი სომხეთის სტრატეგიულ პარტნიორად წარმოაჩინოს, ხოლო, მეორე მხრივ, აზერბაიჯანის სახელმწიფოს წლიურად მიჰყიდოს 2 მლრდ დოლარის ღირებულების შეტევითი სამხედრო ტექნიკა და ყველაფერ ამასთან ერთად, დიპლომატიური ფორმით იყოს ჩართული ამ ორი სახელმწიფოს კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის საკითხებში.

ამგვარი მოცემულობის პირობებში საქართველო, გარდა იმისა, რომ ზემოთ ხსენებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების მოლოდინში უნდა იყოს, არსებობს სხვა რისკ-ფაქტორები. ერთადერთი სახელმწიფო რეგიონში, რომელსაც კარგი დიპლომატიური ურთიერთობები აქვს თურქეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან, ეს არის საქართველო. აქედან გამომდინარე, რუსეთი, რა თქმა უნდა, შეეცდება, რომ რაიმე ფორმით საქართველო ჩაითრიოს ამ კონფლიქტში, კონფლიქტში მყოფ, რომელიმე მხარეზე უპირატესობის მინიჭების გზით. სწორედ ამიტომ საქართველოსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება ის, რომ ნებისმიერ ფასად დაიცვას მიმდინარე კონფლიქტის მიმართ ნეიტრალური პოზიცია. აგრეთვე, ძალიან ძლიერად მუშაობს რუსული პროპაგანდისტული მექანიზმი, რომელიც საინფორმაციო ომს აწარმოებს სოციალურ სივრცეში გარკვეული განწყობების შესაქმნელად და მათ სამართავად, რისთვისაც საქართველო მზად უნდა იყოს, რომ ოფიციალური განცხადებებისა და ოპერატიული მუშაობის შედეგად თავიდან იქნას აცილებული დეზინფორმაციით გამოწვეული საფრთხეები.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ასევე უმნიშვნელოვანესია ჩვენი სახელმწიფოსთვის, არის რუსეთის შესაძლო მიმართვა ოფიციალურ თბილისს სამხედრო დერეფნის თაობაზე, რათა რუსეთის მშვიდობისმყოფელთა საჯარისო ნაწილები ჩადგეს კონფლიქტურ ზონაში. მსგავსი ქმედება არსებულ მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს. საქართველოს ასეთ სიტაუციაში რეალური თავდაცვის ბერკეტი არ გააჩნია. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ ამ წუთებში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების საბჭო უნდა კოორდინირებდეს (საჭიროების შემთხვევაში აშშ-ს მეექვსე ფლოტის გადაადგილების საკითხზეც კი) ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე სახელმწიფოებთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საფრანგეთთან, რომ თავიდან იქნეს აცილებული რუსეთისგან მსგავსი მოთხოვნის შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში საზომი არ არის ის, თუ რომელი სახელმწიფო მოითხოვს მსგავსს დერეფანს. ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოს მხრიდან მიკერძოებული პოზიციის დადასტურება რუსეთის წისქვილზე წყლის დასხმის ტოლფასი იქნება, რაც საქართველოს მძიმე მდგომარეობას შეუქმნის რეგიონში, ამიტომ თითოეული ნაბიჯი საყურადღებო და საფრთხილოა.

ამგვარად, საქართველოს უმთავრესი ამოცანაა: შეინარჩუნოს ნეიტრალური დამოკიდებულება, დაიცვას სტრატეგიული ობიექტები და ინტერესები, გამოიჩინოს კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის საკითხებში მეტი ინიციატივა და აწარმოოს, როგორც სწორი დიპლომატიური ურთიერთობები, ასევე სწორი ეკონომიკური პოლიტიკა.

აბესალომ ყვინჩია

გურამ გოგიაშვილი

ჩემი გიორგი ლეონიძე,

ვინც ქართული ენის ნაყოფიერ ხოდაბუნში, როგორც გულთმისანმა გუთნისდედამ, მარადიული ღალიანი ორნატი გათელა



აქ ერთი სახალისო ამბავიც უნდა გავიხსენო. იყო იმ წლებში ერთი უთუოდ საუკეთესო ფოტოხელოვანი ბონდო დადვაძე, თავისი ოსტატობის გამო მთელ კავშირში იცნობდნენ. იმეჭდებოდა „პრავდაშიც“, „იზვესტიაშიც“, „სოვეტსკაია კულტურაშიც“. დაახლოებული იყო ვასილ მჟავანაძის ოჯახთან, იმის პირად ფოტოგრაფადაც ითვლებოდა. მხოლოდ იმას აქვს გადაღებული „ლოკომოტივის“ სტადიონზე გალეშილი ხრუშჩოვი, ქარაშოტი რომ ამოვარდა და გალელეტებულმა ნიკიტამ იმ ქარაშოტს რომ უბრძანა, ჩადექიო. ქარაშოტი, ცხადია, არ ჩადგა, და ნიკიტა მჟავანაძეს გაუბრაზდა, ახლავე მოაძებნინე ის ქართველი ნაციონალისტები, ვინც ჩემ წინააღმდეგ ამ ქარაშოტს იყენებსო!... იმხანად ერთი ამბავი ჭორჭურადაც დადიოდა. ვითომ ოთხკაციანი ჯგუფი იყო, რომელსაც უნდა აეფეთქებინა პოლიტიკურად გათავხედებული ნიკიტა, რომელმაც სტალინის ცხედარი თურმე იმიტომ გამოატანინა მავზოლეუმიდან, რომ როცა მოკვდებოდა, ლენინის გვერდით ის დაესვენებინათ... როგორც ამბობდნენ, იმ ოთხკაციანი ტერორისტული ჯგუფის არსებობა ჭაბუას გაუგია, ამირეჯიბს, და მჟავანაძისთვის შეუტყობინებია, ის ბიჭები როგორმე გადავარჩინოთ, თორემ მაგ იდიოტი ნიკიტას გამო საქართველოს ააწიოკებენო. არადა, ცოტა ხანში რუსებმა თვითონ „მოაძრეს“ ნიკიტა, და იქნებ იმის სიკვდილი ხეირადაც წაგვდგომოდა... ერთი სიტყვით, ბონდო დადვაძის ფოტოარქივში ბევრი რამ საგულისხმო ინახება. ბოლო წლები ცოტა გაუმწარდა. ცოლმა უღალატა ერთ-ერთ რაიკომის მდივანთან, გვარად, მგონი, ჭანჭალეიშვილი იყო (ჭანჭალი კი საბას განმარტებით **„ყველრთ ძარღვნია კაცთა მოდგმაში“**), **ასე რომ, ეტყობა, ის პარტიული მუშაკი, რახან მდედრთ აწონებდა თავს, მაგარი ვინმე ყოფილაო.** ეს გოგლას სიტყვებია, რაც მან მაშინ თქვა, ბონდოს სტუმრები რომ ვიყავით თვითონ გოგლა, დავით მჭედლიშვილი და მე.

იმერეთიდან პურმარილი ჩამომიტანეს და მეწვიეთო, ბონდო დადვაძემ... სადღაც ვაკეში, ნახევრად სარდაფში ცხოვრობდა უკვე მარტო, ხნიერ დედასთან ერთად. თამადად გოგლა ავირჩიეთ. შუა ამბავში ვიყავით, რომ ბონდოს დედამ ყვირილი ატეხა, ბონდო შვილო, მოდი, მოდი, **ლენინს ქართული სცოდნიაო.** თურმე ტელევიზორით მარჯანიშვილის სცენაზე შალვა დადიანის პიესის **„ნაპერწკლიდან“** დადგმულ სპექტაკლს გადმოსცემდნენ და ლენინი, ცხადია, ქართულად ელაპარაკებოდა სტალინს. აბა, რა გეგონა, ქალბატონო, სტალინმა მარტო ქართული კი არა, ბევრი რამ სხვაც ასწავლა ლენინსო. მაგრამ, რად გინდა, რუსები მაინც ვერ ხედავენო, ღიმილიანად დაამშვიდა გოგლამ აღელვებული დიასახლისი. რა თქმა უნდა, ბევრი ვიცინეთ, და გოგლა მერე გახალისებული იგონებდა ამ ამბავს... იყო კიდევ ერთი რამ, რისი გამოტოვებაც არ მინდა. რახან ბონდო ხშირად ტრაბახობდა, მე და მჟავანაძეს მისვლა-მოსვლა გვაქვს ერთმანეთშიო, გოგლამ ჰკითხა, შენ კი მიდიხარ ხოლმე, მაგრამ მჟავანაძე თუ მოდის შენთანო? ჯერ არც ერთხელ არ მოსულა, ამ ნახევრად სარდაფში ხომ არ დავპატიჟებო, მაგრამ ბინას არის შეპირებული და როცა მომცემს, მაშინ მოვიწვევო... ბონდო, არ გეწყინოს, რახან ჩვენ მოგვიწვიე, რეპეტიციას გადიხარო, არა? – უთხრა გოგლამ. ბონდომ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, როგორ გეკადრებათო. შენ კი ამბობ, მე და მჟავანაძეს ერთმანეთში **მისვლა-მოსვლა** გვაქვსო, მაგრამ რახან ის ჯერ ერთხელაც არ მოსულა შენთან, მაშინ გამოდის, რომ **მისვლა-მისვლა** გქონია და არა **მისვლა-მოსვლაო**, დაიბუხუნა გოგლამ, რასაც ისევ ჩვენი საერთო სიცილი მოჰყვა...

ლაპარაკი ფოტოხელოვნებაზე რომ ჩამოვარდა, ჩემდა უნებურად წამომაგონდა კიდევ ერთი ფოტოამბავი, რაც გაზეთ „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტს ვლადიმერ გინზბურგს უკავშირდება... როცა კი გოგლა რედაქციაში მოვიდოდა და ლექსს მოიტანდა, ჩვეულებრივ, თავადვე უნდა წაეკითხა ჩვენთვის. ამჯერადაც ასე იყო. დათიკოსთან შევიდეთო (მჭედლიშვილთან), შევედით მე, ბენო თათარიშვილი და კოლეგიის რამდენიმე წევრი. გოგლა შუა ბუხუნში იყო, რომ სამთავრობო ტელეფონმა დარეკა. თვითონ მჟავანაძე ურეკავდა მჭედლიშვილს. მჟავანაძე გაბრაზებული იყო, ყურმილში ხმამაღალი ლაპარაკი ისმოდა. რა მოხდა, ვასილი პავლოვიჩ, ხომ მშვიდობაა, მჭედლიშვილმა. მშვიდობა კი არა, ეს ვინ გამომიგზავნე, სახეზე ხელით შემეხოო... მოსკოვიდან დაერეკათ მჟავანაძისთვის, როგორც ყრილობის დელეგატისთვის, სასწრაფოდ თქვენი ფოტოსურათი გამოაგზავნეთო. მჟავანაძემ მჭედლიშვილს სთხოვა ფოტოგრაფის გაგზავნა, დავითმა თავისი მანქანით აფრინა გინზბურგი ცეკაში. მჟავანაძე თურმე თავს არ აჩერებდა, ხან ერთ ტელეფონს იღებდა, ხან მეორეს, ვიღაცას ეთანხმებოდა, თავს უქნევდა, ვიღაცას არ ეთანხმებოდა, თავს თურმე ახლა აქეთ-იქით აქნევდა... არადა, გინზბურგს რამდენჯერმე ეთხოვა, ვასილი პავლოვიჩ, თავი თუ არ გააჩერეთ, ფოტო არ გამოვაო, რასაკვირველია, რუსულად სთხოვდა გინზბურგი. რუსულენოვანი იყო, თუმცა ქართულიც რიგიანად იცოდა. რომ დაინახა, მჟავანაძე თავს არ აჩერებდა, გინზბურგი თურმე ნიკაპში სწვდომია ქვეყნის პირველ პირს და ისევ გაუმეორებია თხოვნა, ერთი წუთით გამიჩერდით, მერე კი ისევ განაგრძეთ თავის ქნევაო. კაცს, ვისაც მთელი საქართველო მოწიწებით ელაპარაკებოდა, ვიღაც ფოტოკორესპონდენტმა სახეზე ხელი შეახო, რაც მჟავანაძემ დიდ შეურაცხყოფად მიიღო და არც საკვირველია. აი, ამიტომ გაისმა ეს საგანგაშო ზარი, ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ მჟავანაძემ თან გააფრთხილა მჭედლიშვილი, ჩემი გულისთვის არ მოხსნა, მაგრამ სიტყვიერად უსაყვედურეო. აკი სულ ამას ვამბობ, მჟავანაძე კეთილი ადამიანია-მეთქი, დაიბუხუნა გოგლამ და ლექსის კითხვა განაგრძო. უცებ ყუჩილი ჩამოვარდა, სუნთქვა არ ისმოდა. ფერწასული დავითი, მგონი, არც უსმენდა.

მეოცე საუკუნის საქართველოში თუ ვინმე იყო ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე, ერთადერთი თუ არა, მცირეთაგან ერთ-ერთი, უპირველესი გოგლა ბრძანდებოდა. იმდენი ნამდვილი ქართული მამულიშვილური საქმე არცვის არ მოუხელკეთილებია. ჯერ მარტო საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი ვთქვათ, მერე ლიტერატურული მუზეუმი, რომელსაც სამართლიანად ჰქვია გიორგი ლეონიძის სახელი. რახან ეს მუზეუმი ვახსენე, ჩემდა უნებურად ბალახაშვილი წამომაგონდა, იაკობი, იყო ერთი ასეთი ლიტერატურას უფრო მიტმასნილი, ვიდრე ნაღდი ლიტერატორი. გოგლა მაშინ ახალდაარსებული მუზეუმისთვის XIX საუკუნის ნაირ-ნაირ ნივთებსა და საგნებს აგროვებდა. უფრო სწორად, მუზეუმის ბიუჯეტით იძენდა, ბალახაშვილს ერთხელ ცალი კალოში მიუტანია, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაქონი (მერე ვიღაცამ კალოშს ქართულ შესატყვისად „სატუცი“ მოუგონა, მაგრამ ვერ დამკვიდრდა).

ბარემ მეორეც გეშოვნაო, უთქვამს გახარებულ გოგლას. მოიტანე და ფულს მერე გადაგიხდიო. ბალახაშვილსაც არ დაუყოვნებია და მალევე ისევ ცალი კალოში მიუტანია, გოგლა ეგრევე მიმხვდარა, მაცდუნებს ეს თაღლითი- მამაძაღლიო, და გაბრაზებულა, ბარათაშვილს რა, ცალ-ცალი კალოში ეცვაო? ბალახაშვილი არ დაბნეულა, რატომ გაიკვირვე, ჩემზე კარგად მოგეხსენება, საწყალი ნიკოლოზი, გინდა, ტატო თქვიო, სიღრმეებში წასულა იაკობი, სინამდვილეში ცალფეხა იყო, მარჯვენა ფეხი არ უვარგოდაო. გოგლასთან ეშმაკობა არ გასვლია იაკობს, გოგლას ის წინაზე მიტანილი კალოშიც გაუტანებია და დაუტუქსავს კიდეც, მორჩა, მუზეუმში ამიერიდან შენი ფეხი არა ვნახოო.

იმჟამად სიღნაღში ყოველწლიურად „ვანოობა“ იმართებოდა ხოლმე. გოგლა არც ერთ წელიწადს არ აცდენდა. ერთხელ მეც დამიმგზავრა, სიტყვითაც გამოვიდა. ბევრი რამ კარგი მოიგონა ვანოზე. მართლაც ნამდვილი ბულბული იყოო. ერთიხანობა ორივეს ერთი სიღნაღელი, უფრო სწორად, ნუკრიანელი გოგო მოგვწონდაო... იმ წელიწადს „ვანოობას“ ესწრებოდნენ ცნობილი მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკი, ლომის ფაფარსავით თმაგაჩეჩილი, და აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი, ბუდიონურულვაშიანი. გოგლა ორსავე ახლოს იცნობდა და კარგი ურთიერთობაც ჰქონდა, მაგ კანდელაკს, გზაში, აქეთობისას, მიამბობდა გოგლა, როგორც ამბობენ, სიდედრი გადმოუგდია თუ გადმოლისა თუ დრამატურგის კალამი არ ეპყრაო, მაგრამ თავისი კაცობილი ბუნებით მთელი ცხოვრება მისაბაძ ქართველად დარჩაო. ამ თვალსაზრისით, ნამდვილად ღირსი იყო, რომ მამადავითზე განესვენაო (ბოლოხანს რატომღაც სულ მთაწმინდას უტრიალებდა)... და ერთ ძველ ამბავს მოაყოლებდა: ამჟამინდელ პარლამენტში მწერალთა რომელიღაც ყრილობა ყოფილა. შესვენებაზე გარეთ ერთად მდგარან გოგლა, სიმონ ჩიქოვანი და შალვა. უცებ შალვას მისალმებია მავანი უცნობი, როგორც ჩანს, **„კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა“** და ყრილობას სტუმრობდა. ვერ მიცანით, ბატონო შალვა, არა? მე ამა და ამ დროს ზუგდიდში შეგხვდით, თეატრში თქვენი სპექტაკლის პრემიერაზე და ჩემი ლექსების წიგნი მოგართვითო, უთქვამს უცნობ ზუგდიდელ პოეტს. როგორ არა, როგორ არაო, ვითომ გაუხსენებია შალვას. მერე მე სკამზე რომ შევდექი, ხალხი რომ შემომეხვიაო. ვინ იყო, იცანიო, უკითხავს გოგლას. აბა, რა ვიცი, ხომ არ გავაწბილებდიო, გაუცინია შალვას... **სხვათა შორის, შალვა დადიანმა თავისი „გიორგი რუსით“ პირველად უჩვენა ქართველ მკითხველს, თუ რას ნიშნავდა „რუსულად გამიჯნურება“ საქართველოსიო,** ესეც გოგლას სიტყვებია...

გოგლას მაინცდამაინც არ უყვარდა არც კინოში და არც სპექტაკლებზე სიარული. ერთადერთი კომპოზიტორი, ვისი სიმფონიური მუსიკის კონცერტებსაც ესწრებოდა, შალვა მშველიძე იყო. შალვას მუსიკა და ჩემი ლექსის ბგერადობა ერთმანეთს ეკილოკავებაო. შალვას მუსიკა მსუყეა და რატომღაც ვაგნერისას მაგონებსო... და ჩემდა უნებურად მახსენდებოდა, **„როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი, ქართლის ხეობებს ასდით ნისლები...“**

ძველი დღიურიდან: ჯავახიშვილს უნივერსიტეტმა წელსაც გამოაგზავნა რედაქციაში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი პრაქტიკაზე... 1962 წელია. მწერალ ნინო ნაკაშიძეს 90 წელი შეუსრულდა. ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებამ უნივერსიტეტელ სტუდენტს დაავალა ნინო ნაკაშიძესთან შეხვედრა და საუბრის ჩაწერა. ნინო რუსთაველზე ცხოვრობს, სადღაც ფოტოგრაფ ჟვანიას ფოტოსტუდიის ახლოისად. სტუდენტი მივიდა, ფოტორეპორტიორ შოთა ჩხეტიანთან ერთად, ეზოში იკითხეს, აქ სად ცხოვრობს ქალბატონი ნინოო, მიასწავლეს, გაიმართა საუბარი. მოხუცმა, ლოგინად ჩავარდნილი ყოფილა, თავის რევოლუციურ წარსულზე ილაპარაკა.

სტუდენტი გახარებულია, რაკი დავალება „მოიბადურა“. ნინო ნაკაშიძის სურათი ჩხეტიანმა გაამჟღავნა და სამდივნოში მოიტანა. იღბლად რედაქციაში შემოიარა გოგლამ. არა, კაცო, ეს ნინო ნაკაშიძე არ არისო, ვიღაც სხვა გადაგიღიათო... კიდევ კარგი გოგლამ გადაგვარჩინა, თორემ მეორე დღის ნომერში კარგა გვარიანი „იაღლიში“ მოგვივიდოდა. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ შოთა ჩხეტიანი დიდად წიგნიერი ფოტორეპორტიორი არ იყო. ერთხელ, გოგოლის თარიღთან დაკავშირებით, საჯაროში წასვლა და გოგოლის სურათის გადაღება დავავალეთ. დაურეკეთ, უთხარით, რომ გაპარსული დამხვდესო, მაგის

გაგრძელება. დასაწყისი Ов. №115-117, 118-119, 126-128

რეტუშის თავი ვისა აქვსო, ჩხეტიანმა. კარგი, კარგი, წადი, მაგან საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გაიპარსა ბოლოს წვერიო, სიცილით შეეხმიანა ვაჟა ჯალაღანია, პასუხისმგებელი მდივანი...

გიორგი ლეონიძე იმითაც განსხვავდებოდა სხვათაგან, რომ თანამოკალმის მიმართ არც შური რა იყო და არც შურის ართმევა, შეძულება არ იცოდა (ისე, გაღიმებული კი იტყოდა ხოლმე ძველი ბერძენი ეპიკოსი პოეტის ჰესიოდეს ნათქვამს, **მეთუნეს სძაგს მეთუნე და აედი ვერ იტანს აედსო**). პირიქით, ბევრისთვის ფართო საზოგადოებისთვის თითქოს დროის ლეგენდური ბურუსიდან გამოჰყავდა ამა თუ იმ შემოქმედის სახე და ამკაფიოებდა, აკანთიელებდა. მე მომსწრე ვარ, რა ალალი პატივისცემითა და სიყვარულით ლაპარაკობდა გალაკტიონ ტაბიძეზე, რომელსაც თავისი ხალასი სახალხოობით ტოლი არა ჰყავდა თავის თანამედროვეთა შორის. გოგლა ზოგიერთივით არასოდეს არ კადრულობდა ზურგს უკან თანამოკალმის გაკილვას.

რა დამავიწყებს გოგლას სიტყვას გალაკტიონის დაკრძალვაზე მთაწმინდის პანთეონში:

„**მეგობრებო!** – მიმართა გოგლამ დამსწრე საზოგადოებას, – **დავკარგეთ ჩვენი პოეზიის დიდი სიმდიდრე. ამიერიდან ქართული მწერლობის დიდ ქედზე აღიმართება გალაკტიონ ტაბიძის დიდი სახელი, როგორც სპეტაკი, მიუწვდომელი მწვერვალი**“.

ანდა 1963 წელს გალაკტიონის ხსოვნის საღამოზე წარმოთქმული სიტყვა რუსთაველის თეატრის დარბაზში: „**გალაკტიონის პოეზია ბედნიერი ნიჭისაა – მოცარტული. მისი უდროო სიკვდილით ქართულ პოეზიას გაუწყდა უძვირფასესი სიმი, რომლის მელოდიები მუსიკით ავსებდა ჩვენს თაობებს... ის არის განახლება ჩვენი პოეტური მხედველობისა და ჩვენი ხმის ახლებური გასინჯვა**“.

1963 წლის 12 თებერვალს სიმონ ჩიქოვანმა 60 წლისთავის იუბილე გადაიხადა. ვახშამი საქართველოს უცხოეთთან ურთიერთობის შენობაში (აწინდელ პრეზიდენტის სასახლეში) გაიმართა. სულ რჩეული ადამიანები ესწრებოდნენ. გიორგი შატბერაშვილმა აზავერის ბეჭის ძვალი ჩამოატარა და ყველა დამსწრეს ხელი მოაწერინა. ხელი მოაწერა გიორგი ლეონიძემაც, თანაც მიკროფონთან მივიდა და მიეპირშაქრა იუბილარს: *სიტყვა იუბილე,* – აღნიშნა გოგლამ, – *ძველი ებრაული სიტყვაა. იგი გულისხმობდა მოსავლის ან პირველნების საპატიო დღის აღნიშვნას. ძველი იუდეველები ამ დღეს საყვირების კრთიალით აღნიშნავდნენ. დღევანდელ დღეს ჩვენი საყვარელი პოეტის და მეგობრის სიმონ ჩიქოვანის საიუბილეო დღეს აღვნიშნავთ სიყვარულით და პატივისცემით, ყურადღებითა და დაფასებით. დღეს ჩემს გამოსვლაში არ გამართლდება ძველი ქართველი პოეტის თქმული: მელექსე მელექსისგან არასდროს დანდობილაო. პირიქით, დღეს მე მინდა, დავარღვიო ძველი ცილისწამება პოეტებისადმი. ცხადია, საბოლოო განსჯა პოეტზე, ვინც არ უნდა იყოს, მომავალს ეკუთვნის, მაგრამ პირველი შეფასება ჩვენია. საკუთარი პოეტური გამოთქმის სისტემა, შეძლებული ფიქრები, იმისი მკაფიო აზრი, შინაარსის ავსებულობა, სირთულე, სიბასრე, სიღრმე, მხატვრული ინდივიდუალობა, საერთოდ მისი პოეზიის თვითმყოფელური თვისება, ყოველივე ეს ქმნის ჩიქოვანის სახელს საკავშირო პოეტურ სახელად და არა მარტო საკავშიროდ, ასევე აღიარებულია იგი დემოკრატიულ ქვეყნებში. ამით სიმონ ჩიქოვანმა კიდევ ერთი დაფნის ფოთოლი მოუტანა ქართულ პოეზიასო.*

ჩვენი იუბილარის პოეზიას ახასიათებს ღრმა, ნიშანდობლივი შეცნობა ჩვენი ეპოქისა. მას არ დასჭირვებია თავისი მსოფლმხედველობის გადამუშავება. თავიდანვე ამ მსოფლმხედველობით შეიარაღებული დადგა თავის პოეტურ საჭესთან. ამ გარემოებამ დიდად შეუწყო ხელი მისი პოეზიის იდეურ სიღრმესა და მხატვრულ ოსტატობასო. სიმონი მხატვრული სიტყვის ტევრში ოსტატობს. მისი პოეზია ეკუთვნის ქართულ მიწას ისევე, როგორც ამ მიწას ეკუთვნის ქართული ვაზი.

დაე, მუდამ ყოფილიყოს გაფოთლილი, დოღვად დასმული ეს ნაყოფიერი ქართული ვაზი, ნოყიერი რთვლის მომცემი და თავისი წვენით გამხარებელი სამშობლოს გულისა!

(**გაგრძელება იქნება**)

შოთა ზოიძე

საქართველოში ჩემი ლექსები სულ მერცხლებივით იჭიკჭიკებენ



წიგნიდან - „მეთოთხმეტე მოციქული“

გამოჩენილი ქართველი პოეტი შოთა ზოიძე ჩვენი გაზეთის ერთგული და ნაცადი თანამგზავრია. მისი ნაწარმოებები, განსაკუთრებით ბოლოდროინდელი ლექსები (იხილეთ „სრ“ №79), ვერსიფიკაციული მოულოდნელობის წინაშე გვაყენებს. ფართომასშტაბიანი პუბლიკაციაც ამან განაპირობა.

ჩვენი სარედაქციო საბჭო ერთსულოვნად უჭერს მხარს ამ ლექსების რუსთაველის პრემიაზე წარდგენას, რასაც უახლოეს თვეებში ვგეგმავთ. ჩვენი ფიქრით, შოთა ზოიძეს ეს ჯილდო დიდი ხანია, დამსახურებული აქვს მთელი მისი შემოქმედების გათვალისწინებით. გვინდა, ვირწმუნოთ, რომ პრეზიდენტი გაგებით და გულისყურით მოეკიდება ჩვენი გაზეთის თაოსნობას.

* * *

აქ არის ჩვენი პოეტების ბანდა,
მე გახლავარ ბანდის ატამანი,
სხვებიც არიან ამათ გარდა,
ზღვაში გავდივართ კატამარანით.

ნაპირზე ვბრუნდებით კარგი ნადავლით,
ჩვენს ბადეს მოჰყვა ათასობით მეტაფორა.
მალე შეტევაზეც გადავალთ,
აუღებელი არ დაგვრჩება არაფერი.

ოკუპანტივით მოვედებით კაფე-ბარებს,
ხანდახან „ინტურისტსაც“ დავლაშქრავთ,
სუყველაფერი მე დამაბრალეთ,
მე ვარ ატამანი და დემარში.

მე დავაანონსე – ჩვენი ცხოვრების
გარდაქმნა, უთუოდ კეთილი ნებით,
ზოგიერთებს რომ ეუცხოვებათ,
დაგორავს ათასი ჭორი და ხმები.

მე ვარ ატამანი, მე ვარ მატიანე,
გნებავთ, ატამანთა მემატიანე,
წუთისოფლის ჩარხი ვერ მოვატრიალე,
თუმცა ბედისწერა ჩარხივით ტრიალებს.

სერგეი ესენინმა ხულიგანი მიწოდა,
ანა ჩაჩუა ჰგავს ანა სნეგინას,
მაიაკოვსკიმ ქართული ისე კარგად იცოდა,
რომ ჩიკაგოში ქართულად შეიგინა.

მე ვიყავ პოეტების ბანდის ატამანი,
ზოგი მათგანი კარგად მოვარჯულე,
ახლა ვარ სამუდამო პატიმარი,
მაჯაზე მიკეთია ელექტროსამაჯური.

ახლა ვზივარ და მეტაფორას ვრანდავ,
სამუდამო ანუ უვადო პატიმარი,
ეს გაუმარჯოს პოეტების ბანდას,
ესეც კიდევ – ბანდის მამაც ატამანს.

* * *

რა ხანია ვცხოვრობოთ უღმერთობის ხანაში,
ჩემი ივერია უღმერთობამ არია,
მე თუ გადავრჩი ჯოჯოხეთის ხახაში,
დიახაც, მორწმუნენი ნეტარნი არიან.

რამ გამახსენა საყდარი აწყურის,
საყდარში გალობს ქართული ენა,
ჩემში მორწმუნეს ვერ გადაარწმუნებ,
ვერ ამიკრძალავ ჩიტივით ფრენას.

ზოგი ზრახვანი ჩაქრა და ჩაფლავდა,
ვისთვის გათენდა, ვისთვის დაღამდა,
ფერმიხდილი ვდგავარ ქრისტეს საფლავთან,
იესოს პორტრეტს ფიროსმანიც ხატავდა.

მისი „შავი ლომი“ გაყიდეს მილიონად,
რომელიც სახლში დაგვიბრუნა ბიძინამ,
ეს, რა თქმა უნდა, არ იყო იოლი,
მაშინ, როცა მხარ-თეძოზე გვეძინა.

ახლა ვაგროვებ ტრანსცენდენტურ მეტაფორებს,
ჩემი რადიუსი ფარგალმა მოხაზა,
ჩემი მეტაფორა, თავისი ანაფორით,
აღარ ეტევა ბათომის ბოღაზთან.

ჩვენგან შორსაა ანტრაქტიდა,
ჰავა კონტინენტური არ არის ურიგო,
პოეზია, როგორც უმაღლესი მათემატიკა,
ჩემზე უკეთესად ვერავინ გაიგო.

არ მიყვარს მეტაფორა იდენტური,
მეტაფორა მიყვარს ტრანსცენდენტური,
მალე გაიმართება მეორე ტური,
პირველი იყო ავანტიურა.

* * *

მიკვირს, მე ახლა ცოცხალი როგორც ვარ,
მე შენ მაგივრად მოვკვდი წუხელი,
მიქელ-გაბრიელი მსტოვარი მეგონა,
დადის და დააქვს ცრემლი და წუხილი.

მე შენ მაგივრად ვიყავი საყდარში,
შენ მაგივრად იესოს ავუნთე სანთელი,
ლუსტრა ჩამოვარდა, მაგრამ გადავრჩით,
სახლში წამოვედი სრულიად ჯანმრთელი.

მე შენ მაგივრად წავიკითხე წიგნი,
წიგნი პრობლემურია ნამეტანი,
სტალინის დიდი სურათია შიგნით,
ნიკო მარის ვრცელი კომენტარით.

მე შენ მაგივრად დავთვესე ყანა,
ჭალა მოვთიბე თავიდან ბოლომდე,
კიდევ კარგი რომ ასეთი გყავარ,
რა გეშველებოდა, რომ არ გყოლოდი?!

ამ ყველაფერს ისევ გავიმეორებ,
სატანამ აქედან ქურდულად მოცოცხა,
შენ მაგივრად მე მოვკვდები მეორედ,
შენ კი ჩემ მაგივრად იცოცხლებ.

მე შენ მაგივრად წავიკითხავ ნიზამს,
დარდი ნუ გექნება ნურაფრის აწი,
მე შენ მაგივრად ყველაფერს ვიზამ,
მხოლოდ ერთი – ლექსებს ვერ დავწერ.

რესტორანი ტყეში

გზადაგზა მწყემსების პასტორალი,
მუხნარი და ნაძვნარი გზადაგზა,
პასტორალის ნაცვლად რესტორანი,
უღრან ტყეში ასკილი განაზდა.

რესტორანს ჰქვია „მონადირე“,
გულმა გამიწია სანადიროდ,
ტახმა ზღართანი მოადინა
და ჩვენც განვეწყეთ სანადიმოდ.
სტუმრად მყავდა გიორგი ცაბაძე,
სადღეგრძელოები ერთად მოვკალეთ,
მონადირეებსაც კი წავბაძეთ,
მაგრამ ვერაფერი მოვკალით.

გვინდოდა, ყველაფერი მოგვესწრო,
როცა ამინდი ჩვენზე გაბრაზდა,
აუღერდა „შაშვების“ ორკესტრი,
მუსიკა, რა თქმა უნდა, ცაბაძის.

სიტყვები-შოთა ზოიძის,
მიკროფონთან ტოროლა-სოლისტი,
არწივი დაბრძანდა ლოდიძირს,
არ ვიცი, როდემდის მოიცდის.

აქ არი ნადირობის ქალღმერთი,
დალი, ოქროსდალალებიანი,
ქალღმერთი ჩვენთან ერთად გაერთო,
აფროდიტესავით ვნებიანად.

ხარჯი სულ მეპატრონემ გაიღო,
რესტორანმა დაჩრდილა პასტორალი,
ტყეში ვიდეოზე გადავიღე
ქალღმერთი დალი და რესტორანი.

გალმა ნაპირი

ეს ქუჩა სადღაც გარბის და გარბის,
მე მივდევ უკან და ვერ ვეწევი,
და მტკვარზე ხიდი – თბილისის წარბი
ჩამივარდება თვალში ბეწვივით.

მთაწმინდას, როგორც ღმერთების ბოხჩას,
დაეცა დილით პირველი სხივი,
შორიდან ლურჯი გუმბათი მოჩანს,
გრიბოედოვის ძეგლივით ცივი.

აქ რომ ხე იდგა, თავისით გახმა,
გამოეცალა ხელიდან აპრილს,
მე მშრალი ხიდით გავდივარ გაღმა
და გამოვყურებ გამოღმა ნაპირს.

* * *

შთაგონებებით ისე ვივსები,
აღარასოდეს აღარ დავშრები.
საქართველოში ჩემი ლექსები
დაჰქრიან, როგორც ცელქი ბავშვები.

ამაზე მეტი რაღა ვინატრო,
როცა რიტმები თავ-პირს იმტვრევენ.
ეს ტროპი – მეტრეველის პენალტი,
რიტმები – მიშა მესხის ფინტები.

მეტაფორები – საყდრის ფრესკები,
ეპითეტები – სიზმრის ჭინკები,
საქართველოში ჩემი ლექსები
სულ მერცხლებივით იჭიკჭიკებენ.

ვეფხვი რუსთაველის პროსპექტზე

კვირა დღე იყო.
რუსთველზე ძუ ვეფხვი შემომეფეთა,
შემხედა, დამაგიჟნოზა, წამკიდა ელეთ-მელეთი,
უსიტყვოდ დამიმორჩილა და იარაღი ამყარა,
გადასხვაფერდა თბილისი,
გადასხვაფერდა ქვეყანა.
ასე მეგონა, მტრის ჯავრი უნდოდა ჩემზე ეყარა,
რაც მქონდა მეტაფორები,
სულ წყალში გადამეყარა.

ყრმასა იარაღაყრილსა,
ხელი სად უნდა გამეკრა,
სულ მალე დამფლეთს,
ჩვენ შორის პატარავდება მანძილი,
მეგონა, მალე დედაჩემს
გაუგზავნიდა სამძიმარს,
ო, საოცრებავ, იმ წამში,
მუშტი რომ უნდა დამეკრა,
ვეფხვი პირგამეხებული, მომვარდა,
გულში ჩამიკრა.
მზე, მთვარე და ვარსკვლავები,
სუყველა ერთად ჩამიქრა.

ო, საოცრებავ, ძუ ვეფხვი გარდაისახა
ნესტანად,
რუსთველზე გაირუსთველა,
მერე მეც მომენესტანა
და თვალწინ გადამიშალა მესხი-მელექსის
უსტარი,
უსტარი ყოვლის მომცველი,
შეჯერებული დროსთან.

კვირა დღით,
ბოსტან-ქალაქში დიოდა ხალხის ჭილ-ყვავი,
ის ვეფხვი იყო ნესტანი, მე ტარიელი ვიყავი.

ქ. ბათუმი

№ 129-130. შაბათი-ორშაბათი, 10-12 ოქტომბერი, 2020 წელი.

რის მესია, რა მხსნელი, ბატონო კენეტ!

ძართველ საზოგადოებაში არსებობს განცდა, რომ საქართველო უკან, წარსულში ბრუნდება. ის, რომ ქვეყანაში დემოკრატიის თვალსაზრისით პრობლემებია, დასავლელი პარტნიორებიც მიუთითებენ. ვაშინგტონში მიაჩნიათ, რომ საქართველოში „ახლა ყველაზე, მნიშვნელოვანი არჩევნები“ იმართება, რომელსაც ამერიკა დიდი ყურადღებით აკვირდება. თუმცა, პრობლემების მიუხედავად, კენეტ იალოვიცი, რომელიც 90-იან წლებში საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი იყო, ამბობს, რომ საქართველომ წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა და პრობლემების მიუხედავად, წინ მიდის.

„საქართველოში 1998 წელს ჩავედი და ძალიან განსხვავებული ვითარება იყო, დღევანდელთან შედარებით. შეიძლება ითქვას, ეს იყო „კორუფციის ერა“, პერიოდი საქართველოსთვის, როცა ქვეყანა ვერ აგროვებდა გადასახადებს და თითქმის ყველგან იყო კორუფცია. მაშინ პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გახლდათ, რომელიც კარგი პოლიტიკოსი იყო და მე მას დიდ პატივს ვცემდი. მასთან მუშაობა ძალიან საინტერესო იყო. მას შემდეგ, რაც მე საქართველო დავტოვე, 20 წელი გავიდა. საქართველომ ძალიან დიდი გზა გაიარა. ქვეყანაში ჩამოყალიბდა სახელმწიფო ინსტიტუტები, გაუმჯობესდა ეკონომიკური მაჩვენებლები, თუმცა, საქართველო ჯერ კიდევ ღარიბი ქვეყანაა. საქართველოს ძალიან სჭირდება უცხოური ინვესტიციები, მაღალია უმუშევრობის და სიღარიბის მაჩვენებელი, პრობლემებია დემოკრატიის კუთხით, რაც მე მაშფოთებს, თუმცა პრობლემების მიუხედავად, 20 წლის წინანდელ საქართველოსა და დღევანდელ საქართველოს შორის ძალიან, დიდი განსხვავებაა,“ — *ამბობს ამერიკელი დიპლომატი.*

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წინ მიდის, დიპლომატი კენეტ იალოვიცი ამბობს, რომ მესიების დრო უნდა დასრულდეს და ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება შეიცვალოს. ცვლილებებისთვის ერთადერთ გზად კი ამერიკელი დიპლომატი სამართლიან არჩევნებს მიიჩნევს.

„ჩემში განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის პროცესები, რომელიც საქართველოში ბოლო 2 წლის განმავლობაში განვითარდა. ეს პროცესი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიწყო და გრძელდება. მე არ ვაპირებ ყველა მოვლენის განხილვას, თუმცა შემიძლია ერთმნიშვნელოვნად ვთქვა, რომ საქართველოში დიდი სირთულეებია. ახლახან საქართველოში პოლიტიკური კრიზისი იყო საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით, თუმცა პარტნიორი ქვეყნების შუამავლობით ქართველმა პოლიტიკოსებმა კონსენსუსს მიაღწიეს — რაც მე ძალიან მახარებს.

ეს არჩევნები საქართველოში კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ეს არის გამოწვევა, სადაც საქართველომ უნდა აჩვენოს, რომ ის არის ერთგული დემოკრატიული პრინციპების მიმართ.

ამერიკის ყოფილი ელჩი საქართველოში კენეტ იალოვიცი ამბობს, რომ პანდემია კოვიდ19-ს საქართველოს მთავრობა კარგად გაუმკლავდა, რაც „ქართულ ოცნებას“ უპირატესობას აძლევს.

„საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნები პანდემიის დროს იმართება. მთავრობამ კოვიდ19-ის პანდემიას კარგად გაართვა თავი და კოვიდ19-ის მაჩვენებლები საქართველოში არ არის საგანგაშო. ბოლო პერიოდში ვიცი, რომ მაჩვენებლები გაიზარდა, თუმცა, ეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ხდება. პანდემიასთან სწორი ბრძოლა მთავრობას აძლევს უპირატესობას. მათ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, როდესაც პანდემიასთან საბრძოლველად პრეროგატივა ექიმებს, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპერტებს მიანიჭეს. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ შეინარჩუნოს ეს ვითარება და არჩევნების წინ ოპონენტებს მისცეს საშუალება, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი. ვიმედოვნებ, რომ ეს ასე იქნება და ამის შეზღუდვა არ მოხდება,“ — *ამბობს დიპლომატი იალოვიცი.*

ბოლო საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებით ნათელია, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს შესაძლოა, არ ჰყავდეს ერთპიროვნული გამარჯვებული და პარლამენტი სხვადასხვა პოლიტიკური ძალებით დაკომპლექტდეს. დიპლომატს ვკითხეთ, თუ პარლამენტში ერთმანეთთან დაპირისპირებული პოლიტიკოსები შევლენ, რამდენად შეძლებს ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის პირობებში ქვეყანა განვითარებას და რა პრობლემები შეიძლება შეექმნას ქვეყანას.

„ძალიან საინტერესო კითხვაა. საქართველოში დაახლოებით ისეთი ვითარება იქნება, როგორიც იყო 2012 წელს. მაშინ, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა საპარლამენტო არჩევნებში, თუმცა ერთი წლის განმავლობაში პრეზიდენტის პოსტს მიხეილ სააკაშვილი იკავებდა მანამ, სანამ პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილს აირჩევდა ქართველი ხალხი. ეს ერთგვარი კოჰაბიტაცია იყო. ეს არ იყო კატასტროფა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ კარგად მუშაობდა... ახლა იცით, რომ პარლამენტში მოხვედრისთვის ბარიერი საკმაოდ დაბალია, დიდი შანსი არსებობს, რომ პარლამენტი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებით დაკომპლექტდეს და ერთი რომელიმე პარტია არ იყოს დომინანტი. ეს, ვფიქრობ, კარგი და მნიშვნელოვანი მიღწევა და ახალი გამოწვევა იქნება საქართველოსთვის. საქართველოში ახლა არის დრო, პერიოდი, როცა უნდა დასრულდეს ე.წ. მესიების დრო — ჯერ იყო გამსახურდია, შემდეგ შევარდნაძე, სააკაშვილი, ახლა ივანიშვილი. პოლიტიკურ პარტიებს ბევრი შრომა მოუწევთ, რათა შექმნან კოალიციური მთავრობა და ეს საკმაოდ რთული პროცესი იქნება.

კოალიციური მთავრობის შექმნა სხვადასხვა პრობლემებს ითვალისწინებს. ამის ნათელი მაგალითი ვნახეთ ისრაელში. თუმცა პოლიტიკოსებს ბევრი შრომა მოუწევთ და საჭირო იქნება კონსენსუსი, მეტი მოსაზრება უფრო ჯანსაღ პოლიტიკურ ვითარებას ქმნის და მიუხედავად განსხვავებული შეხედულებებისა, პროცესის მართვა შესაძლებელია, აქ განსაკუთრებით საჭირო იქნება პოლიტიკური უნარების გამოვლენა. ბევრი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი პარლამენტში ეს ის არის, რაც ქართველ ხალხს სურს და ვფიქრობ, რომ ეს ძალიან კარგი იქნება საქართველოსთვის,“ — *ამბობს ამერიკელი დიპლომატი.*

კენეტ იალოვიცი ამბობს, რომ საქართველოში ძალიან პოლარიზებული გარემოა, რაც ქვეყნისთვის სასარგებლო არ არის. მეტიც, მას მიაჩნია, რომ ცნობილმა და გავლენიანმა პოლიტიკოსებმა ფსონი ახალგაზრდებზე უნდა დადონ და მათ მისცენ საშუალება ქვეყნის მართვისა.

საქართველოსა და ბელარუსში ამერიკის ყოფილი ელჩი „ამერიკის ხმასთან“ საუბრის დროს ამბობს, რომ ის არ ელოდება, რომ საქართველოში ბელარუსის სცენარით პროცესები განვითარდეს. ელჩი ამბობს, რომ ბელარუსში რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა, სადაც პროცესებს დიქტატორი განვითარების საშუალებას არ აძლევს. რაც შეეხება საქართველოს: დიპლომატი ამბობს, რომ საქართველომ უნდა განაგრძოს დემოკრატიული განვითარება და უნდა ჩაატაროს თავისუფალი საპარლამენტო არჩევნები.

საბა გუჯაბიძე

„ამ მანდატის წარმოადგენს უფლება აქვს...“

ოჰ, რას გადავრჩით!

თანამედროვე მსოფლიოში ფემინისტური მსოფლმხედველობისა და მისი ფილოსოფიის ზეგავლენა საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტობრივად ყველა მხარეზე, დღითიდღე უფრო საგრძნობი ხდება. ჰოდა, ამ ფონზე კიდევ უფრო კარიკატურულად ჩანს საუკუნეზე მეტი ხნის წინათ რუსეთის იმპერიაში მომხდარი ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდგომ მიღებული ზოგიერთი კანონი — ამ კონკრეტულ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს საუკუნეზე მეტი ხნის წინათ (1918 წელს) მიღებული დეკრეტი „ქალების ნაციონალიზაციის შესახებ“.

ესაა ანარქისტული პარტიის ერთი ჯგუფის წევრთა მიერ შემუშავებული „დოკუმენტი“, რომლის შემადგენლობაში ძირითადად მამაკაცები იყვნენ, თუმცა რამდენიმე ქალიც ერია(!). ახალი კანონის თანახმად, უქმდებოდა „ქალებზე საკუთრების უფლება“, რომლებიც ამიერიდან „საზოგადოებრივ დოვლათად“ ითვლებოდნენ, დგინდებოდა მათი რეგისტრირების და „საერთო სახალხო კუთვნილების თითოეული ეგზემპლარით სარგებლობის წესი“(?!).

„მამაკაცებს აქვთ უფლება, ისარგებლონ ხელზე გაცემული ქალით არაუმეტესად, ვიდრე კვირაში სამჯერ, ყოველ ჯერზე სამი საათის განმავლობაში. ამ უფლების მოსაპოვებლად მათ უნდა წარმოადგინონ ფაბრიკის ან ქარხნის კომიტეტის, პროფკავშირის ანდა ადგილობრივი კომიტეტის ცნობა მუშურგლეხური წარმომავლობის შესახებ. ამასთან ქმარს (თუკი ქალი გათხოვილი იყო) მეუღლესთან რიგგარეშე მისვლის უფლება ენიჭებოდა“(!!!).

„სახალხო დოვლათის ეგზემპლარით“ სარგებლობის ყოველი მსურველი ვალდებული იყო საფაბრიკო თუ საქარხნო კომიტეტში ხელფასიდან გარკვეული თანხა გადაეხადა.

გამოქვეყნებისთანავე დეკრეტი მთელ „გაწითლებულ რუსეთში“ უსწრაფესად გავრცელდა და უკვე მარტისთვის ის უკლებლივ ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა. ზოგიერთ რეგიონში მოითხოვეს ქალების ნაციონალიზაციის შემოღება დაწყებული ოცი წლის ასაკიდან, ყველა გაუთხოვარი ქალიშვილი კი, მკაცრად დასჯის მუქარით, დაავალდებულეს, სათანადო რეგისტრაცია გაევლო თავშესაფრის კომიტეტის „თავისუფალი სიყვარულის ბიუროებში“.

ამის შემდგომ, თითოეულ მამაკაცს ნებისმიერი რეგისტრირებული ქალის თავისუფლად არჩევის უფლება ენიჭებოდა, რისთვისაც „სახალხო დოვლათის კონკრეტული ეგზემპლარის“ თანხმობა საჭირო სულაც არ იყო. ვარაუდობდნენ, რომ ასეთი თანაცხოვრების შედეგად გაჩენილი ბავშვები რესპუბლიკის საკუთრება გახდებოდნენ, თუმცა კი, ზოგადად, უფრო შორსაც წავიდნენ და განსაკუთრებულად „წარჩინებულ“ წითელარმიელებს ხელზე ამ შინაარსის საბუთს აძლევდნენ:

„ამ მანდატის წარმომდგენს უფლება აქვს მოახდინოს 16-დან 20 წლამდე ასაკის ათი ქალიშვილის სოციალიზაცია, რომელთაც თავად აირჩევს“.

სავსებით გასაგებია, რომ დეკრეტი ხალხში პოპულარული არ გახდა და მისი განხორციელება ვერ მოხერხდა — ქალები კატეგორიულ უარს აცხადებდნენ ანარქისტების „მითითებათა“ შესრულებაზე, ხშირად კი საქმე, სულაც, „სახალხო დოვლათის ეგზემპლარებით“ „სარგებლობის“ მსურველთა სიფათების დაპორჭყვნით მთავრდებოდა, ზოგჯერ კი სხეულის ქვედა სართულის მთავარი ნაწილის მოკვეთითაც სრულდებოდა...

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ტრიუმფის ზღურბლთან – დიდუბიდან ევროპა გამოჩნდა!

გილოცავთ, თანამემამულენო!

საქართველოს ეროვნული ნაკრები ერთა ლიგის ფინალში 12 ნოემბერს ჩრდილოეთ მაკედონიის გუნდს უმასპინძლებს და გამარჯვების შემთხვევაში ევროპის ჩემპიონატის დასკვნით რაუნდში ითამაშებს.

პირველად ისტორიაში!

ეს იმ თაობათა მიერ დამკვიდრებული სასახელო ტრადიციების დამსახურებაა, მსგავს წარმატებაზე, გეოპოლიტიკური ბედუკულმართობის გამო, ვერც რომ იოცნებებდნენ.

ასევე მადლიერება უნდა გამოვხატოთ უეფას ყოფილი პრეზიდენტის მიშელ პლატინის მიმართ, რომელმაც ახალი ტურნირი ისეთი ფორმატით დაიფუძნა, ზედგამოჭრილი რომ აღმოჩნდა თანამედროვე ქართული ფეხბურთის გამოსაცოცხლებლად და ელიტაში, ანუ მარაქაში გასარევად.

დიახ, ეს გახლავთ იმ ლოგიკური გზის გაგრძელება, 2018 წლის შემოდგომაზე ჩვენს ტოლ-სწორ მეტოქეებთან ძლევამოსილი ბრძოლებით რომ დავიწყეთ და ერთ თვეში საუკუნის მიღწევით უნდა დაგვირგვინდეს.

ნურც ფეხბურთის ფედერაციის ამაგს, ბიჭების თავგანწირვასა და „ჯვაროსანთა“ თავკაც ვლადიმირ ვაისის ღვაწლს დავივიწყებთ.

მოკლედ, მივაგოთ კეისარს კეისრისა!

ამავე დროს, წარსულის მწარე გამოცდილების გათვალისწინებით, ნურც ზომა-წონას დავკარგავთ და თანამემამულეთა ლოკალური წინსვლის შეფასებისას, მოვლენათა ობიექტური განსჯის უნარიც ნუ გვიღალატებს. ეს ისევ ქართულ ფეხბურთს წაადგება, თორემ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების ფრქვევასა და დითირამბების კორიანტელის დაყენებაზე ადვილი არაფერია.

სწორედ მომავალზე ზრუნვა გვკარნახობს, რომ მასპინძლები როგორც ღირსეული პირველი ტაიმისთვის შევაქოთ, ისე შესვენების შემდეგ რიტმიდან ამოვარდნისთვის მივცეთ შენიშვნა, რასაც ბურთზე და, შესაბამისად, მინდვრის ცენტრზე კონტროლის დაკარგვა მოჰყვა, ბოლო წუთებზე კინაღამ ლორიას კარში გატანილი საპასუხო ბურთით რომ დასრულდა.

რაც შეეხება გამარჯვების გოლს, იგი კვარაცხელიას საფირმო გარღვევისა და საპენალტო გადაცემის შემდეგ ოქრიაშვილმა გაიტანა (ეს მისი მე-11 გოლია, რაც სარეკორდო მაჩვენებელია ჩვენს გუნდში). **საინტერესო დამთხვევა:** „ოქროსთან“ საჯარიმოში ბრძოლისას თამაშის წესი ბელარუსთა მცელმა ზოლოტოვმა (იგივე „ოქრო“) დაარღვია.

კიდევ ერთი ფაქტი: მართალია, სტუმრებს ერთბაშად 5(!) წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ, მაგრამ ეს ოდნავადაც არ აფერმკრთალებს საქართველოს ნაკრების აღნიშნული წარმატების მნიშვნელობას, რადგან დანაკლისი მასაც ჰქონდა, თანაც – საკმაოდ სოლიდური (ანნიძე, ჩაკვეტაძე, დავითაშვილი).

ჩრდილოეთ მაკედონია – კოსოვო 2:1.

ხვალ ჩვენი გუნდი ერთა ლიგის მეორე გათამაშების ეგიდით პოლონეთის ქალაქ ტიხში სომხეებს შეხვდება, ხოლო 14 ოქტომბერს მომავალ მეტოქესთან გენერალურ რეპეტიციას სკოპიეში გაივლის.

გია პლატონიშვილი

◎ ასეთია ტატამი

სტაბილური ხუბულური

თუკი ვინმეს დასახელება შეიძლება სტაბილურ სპორტსმენად, მათგან ერთ-ერთი უპირველესი **თემურ ხუბულური** გახლავთ, რაშიც მისი სადარბაზო ბარათიც დაგარწმუნებთ:

დაიბადა 1955 წლის 24 მარტს გორის რაიონის სოფელ სკრაში. ასპარეზობდა 95 კგ წონით კატეგორიაში. არის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1979, 1981), მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (1980), ევროპის ორგზის ჩემპიონი (1976, 1977) და ვერცხლის მედალოსანი (1981), ევროპის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1977), სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი (1979), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1979, 1982), საქართველოს აბსოლუტური ფალავანი ქართულ ჭიდაობაში (1976), საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1979), სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს პარლამენტის წევრი.

დაგვეთანხმებით, მართლაც რჩეულთა ხვედრია, სისტემატური მიღწევებით გამოირჩეოდეს ტატამის ისეთ დიდოსტატთა თაობაში, რომელსაც შოთა ხაბარელი, რამაზ ხარშილაძე და ჯიბილო ნიჟარაძე ამშვენებდნენ, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მით უმეტეს სპორტის ისეთ ვაჟკაცურ და, ამავე დროს, ვერაგ სახეობაში, როგორიც ძიუდოა, კარიერის მთავარი ბრძოლა დათმო და კიმონო იმ უმაღლესი ხარისხის ჯილდოსა და ტიტულის მოუპოვებლად გაიხადა, გვირგვინს რომ დაადგამდა მის უმდიდრეს კოლექციას.

მიხვდით, ალბათ, – საუბარია მოსკოვის ოლიმპიადის ფინალში პრინციპულ ბელგიელ მეტოქესთან რობერ ვან დე ვალესთან წაგებულ შეხვედრაზე.

დარწმუნებულნი ვართ, ბევრი თქვენგანი გაავლებდა პარალელს ჩვენს გამოჩენილ ჩოგბურთელ **ალექსანდრე მეტრეველთან,** რომელმაც ასევე გაწბილებულმა დატოვა კორტი უიმბლდონის ზეპრესტიჟული ტურნირის გადამწყვეტი, შეიძლება ითქვას, ცხოვრების ტოლფასი დუელის შემდეგ, როცა ჩეხ იან კოდეშთან დამარცხდა, რომელსაც თითქმის ყოველთვის უგებდა.

რას ვიზამთ – ეს ხანდახან უსამართლო სპორტია, მაგრამ ამით ჩვენს ლეგენდარულ თანამემამულეთა ბრწყინვალება მცირედით თუ გაფერმკრთალდა.

სამაგიეროდ, კვლავ უსაზღვროა ის პატივისცემა და სიყვარული, რომელიც აწ უკვე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატმა გულშემატკივრებში დაიმსახურა.

თავს უფლებას ვაძლევთ და მათი სახელითაც დაგვიანებით ვულოცავთ სარბიელსა და ცხოვრებაში რაინდს 65 წლის იუბილეს, რასაც ერთადერთი მიზეზი აქვს: ცბიერი კორონავირუსის პანდემია. მან ხომ მთელ სამყაროში შეცვალა ყველაფერი და, მათ შორის, საზეიმო განწყობილებაც.

კობა კობახიძე

ცნობისთვის: *8 ნოემბერს თემურ ხუბულური საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტობისთვის იბრძოლებს მოქმედ თავკაცთან გიორგი ათაბეგიშვილთან, ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელთან გურამ მოდებაძესა და ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებელთან ლაშა გუჯეჯიანთან ერთად.*

კ. კ.

◎ ლეგიონერი

დასამტკიცებელიც აღარაფერია

8 ქულა, 12 მოხსნა, 3 პასი, ორმაგ დუბლამდე დაკლებული ერთი ზუსტი ტყორცნა და, როგორც ყოველთვის, სასტარტო ხუთეულში დაწყებული შეხვედრა – ასეთია თორნიკე შენგელიას მორიგი ღირსეული პირადი მონაგარი ცსკა-ს შემადგენლობაში, ამჯერად – ევროლიგის ჯგუფური რაუნდის მეორე ტურში თელ-ავივის „მაკაბის“ წინააღმდეგ, რომელიც არმიელებმა შინ მძაფრ ბრძოლაში მოიგეს – 76:72.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდის ერთ-ერთ ეპიზოდში სტუმრები ჯერ კიდევ წინ იყვნენ, მაგრამ დარჩენილ მცირე დროში მოსკოველებმა გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს.

მესამე ტურის მატჩს დიმიტრის იტუდისის გუნდი 14 ოქტომბერს სტამბოლში „ფენერბახჩესთან“ გამართავს, ხოლო მანამდე დღეს ვთბ ლიგაში სარატოვის „ავტოდორს“ უმასპინძლებს.

დანარჩენი შედეგები: „რეალი“ – „ვალენსია“ 77:93, „ეფეს პილსენი“ – „ფენერბახჩე“ 76:80.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ დიდი სლემი

ამერიკა თუ ევროპა?

დღეს „როლან გაროსის“ ქალთა ტურნირის ფინალში ერთმანეთს მოსკოვში დაბადებული ამერიკელი, ავსტრალიის ღია პირველობის მოქმედი ჩემპიონი სოფია კენინი და სეზონის პოლონელი აღმოჩენა იგა სვიატეკი შეხვდებიან.

ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც ოკეანისგაღმელმა, ყველასათვის მოულოდნელად, შედარებით იოლად, ორ პარტიაში უიმბლდონის ორგზის ჩეხი გვირგვინოსანი პეტრა კვიტოვა დააშამათა – 6:4, 7:5, ხოლო მისმა მომავალმა მეტოქემ არგენტინელ ვუნდერკინდს ნადია პოდოროსკას გადაუარა – 6:2, 6:1.

ბეჟან დოლიძე

საერთო საჯარისო ცენტრის განახლებული ბაზა – ქრწანისში

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ცენტრის ტერიტორიაზე სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 21 შენობას. მათ შორისაა საყაზარმე, სასწავლო და სარეკრეაციო სივრცეები.

„საჯარისო ცენტრის განახლებული ბაზა იძლევა საშუალებას, რომ ერთ ფიზიკურ სივრცეში განლაგდეს ყველა სასწავლო ერთეული, რომელიც აუცილებელია სამხედრო-სააღრიცხო სპეციალობების მიხედვით, თავდაცვის ძალების ოფიცრებისა და სერჟანტ-კაპრალების მომზადებისა და გადამზადებისთვის. დამატებითმა სასწავლო სივრცეებმა გაზარდა უფრო მეტი სასწავლო პროგრამისა და საერთაშორისო კურსების ჩატარების შესაძლებლობა, პარალელურ რეჟიმში. ბაზა ხელს შეუწყობს როგორც გვარეობების ინსტიტუციურ განვითარებას, ისე — თითოეული სამხედრო მოსამსახურის პროფესიული მომზადების ხარისხის ამაღლებას“, — განაცხადა ბაზის გახსნის ღონისძიებაზე საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურმა გიორგი მათიაშვილმა.

ხულო-ზარზმის გზის 42-კილომეტრიანი მონაკვეთი განახლდა

საავტომობილო **გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-ზარზმის 42 კმ-იან მონაკვეთის სარეკონსტრუქციო სამუშაოს შესრულების მიზნით ჩატარებულ საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „სინოჰ იდროსთან“ ხელშეკრულება გაფორმდა.**

ხულო-ზარზმის გზის 42 კმ-იანი მონაკვეთის რეკონსტრუქციას, რომელიც ორ მონაკვეთადაა დაყოფილი, არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდი აფინანსებს. ორი მონაკვეთის ჯამური ღირებულება 95 689 302 ლარს შეადგენს. პროექტის განხორციელების ვადა ორი წელია.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, პარალელურ რეჟიმში აქტიურად მიმდინარეობს ხულო-ზარზმის გზის დარჩენილი 5 კმ-იანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. მათივე ცნობით, ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის პროექტი სამ მონაკვეთადაა დაყოფილი და ჯამში რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია 47-კილომეტრიან გზას და შვიდ ხიდს ჩაუტარდება. დაიგება 2-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის საფარი.

აღნიშნული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოძრაობის უსაფრთხოება. ამასთან, განახლებული გზით, ბათუმიდან ახალციხემდე მგზავრობის დრო 1.5 სთ-ით შემცირდება. სარეაბილიტაციო მონაკვეთი დაბა ხულოდან იწყება, გაივლის გოდერძის უღელტეხილს და ადიგენის სოფელ ზარზმამდე მივა. პროექტის განხორციელების შემდეგ, ტურისტული ნაკადი გაიზრდება, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ახალ შესაძლებლობებს გაუჩენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2020 წლის „06“ ოქტომბრის №01-01-3/263 ბრძანების შესაბამისად

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა $მ^3$/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქ.ბათუმი, მაიაკოვსკის ქ.N55	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	1 825 $მ^3$	31,00	210,00
2	ქ. ბათუმი. აეროპორტის გზატკეცილი N257	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	180 $მ^3$	3,05	202,00
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის			ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება			

ისტორიული აგრობაზარი აღდგება

ყოფილი **კოლმეურნეობის ბაზრის ტერიტორიაზე მულტიფუნქციური აგროსავაჭრო ცენტრი მოეწყობა. როგორც გაირკვა, პროექტის კონცეფცია გულისხმობს პირველ და მეორე სართულზე ფუდკორტის მოწყობას, სადაც ერთ სივრცეში განთავსდება სავაჭრო პავილიონები, ასევე გაიყიდება მზა და ადგილზე მომზადებული პროდუქცია, ხოლო შენობის მესამე და მეოთხე სართულებზე განთავსებულ საპროექტო ტერასებზე მოეწყობა სასადილო.**

არქიტექტურის ვებ გვერდზე განთავსებულ განმარტებით ბარათში წერია, რომ მსგავსი ობიექტები ევროპის მრავალ ქალაქში, როგორც წესი, ძველი ბაზრების ტერიტორიაზე წარმატებით ფუნქციონირებს. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ სავაჭრო ცენტრში წარმოდგენილი იქნება მრავალფეროვანი პროდუქცია ტრადიციული კულინარიული მიმართულებით. მათივე ინფორმაციით ფუნქციის, შენობის ისტორიიდან და მდებარეობიდან გამომდინარე, ობიექტი საინტერესო იქნება როგორც ქალაქის მცხოვრებლებისთვის, ასევე ტურისტებისთვის. განსაზღვრულია მთლიანი შენობის ფასადების და დეკორატიული ელემენტების აღდგენა, დამუშავება და შეღებვა.

განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ შენობა აგებულია მეოცე საუკუნის 40-იან წლებში. საბჭოთა პერიოდში მასში განთავსებული იყო საკოლმეურნეო ბაზარი, ხოლო მოგვიანებით სავაჭრო ცენტრი. შენობა სამდონიანია, ამჟამად ქვედა სართული დათმობილი აქვს სუპერმარკეტ „კარფურს“, რომლის ფართიც უცვლელი რჩება. ხოლო ზედა დონე, რომელიც აერთიანებს ერთ სივრცეში მოქცეულ სართულსა და ანტრესოლს, უფუნქციოდაა დარჩენილი. შენობის წარმოდგენილი სახით რეკონსტრუქციით არ იცვლება შენობის მოცულობა და სიმაღლე.

შენობა სს „საქართველოს სავაჭრო ცენტრს“ ეკუთვნის, რომლის დირექტორიც თათა სახელაშვილია. დამატებითი დეტალების გასარკვევად „კომერსანტი“ სახელაშვილს დაუკავშირდა, რომელიც აცხადებს, რომ „საქართველოს სავაჭრო ცენტრი“ ფართობს მხოლოდ აქირავებს, ხოლო მოიჯარეებს ამ ეტაპზე აგროსავაჭრო ცენტრთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ სურთ.

პროექტის სავარაუდო დამკვეთი შპს „მერკადოა“, რომელმაც 2020 წლის 17 ივნისს შპს „დისი გრუპს“ „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასების მოთხოვნით მიმართა.

	მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობითა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო ნომერი	245429200
მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
ბიჯის სიდიდე	საწყისი ფასის 10%
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2020 წლის 13 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 13 ნოემბერს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2020 წლის 13 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 13 ნოემბერს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში



გურამ ჯანიაშვილი 70 წლისაა

თითქოს შვილმკვდარ მამას რა ეიუბილება, მაგრამ, როცა სიცოცხლე ბაბუს ნებიერა მარიამში გრძელდება, ჩვენი ძვირფასი ძმაკაცი იმიტომაც გვეძვირფასება, რომ ყველა ცხოვრებისეულ დარტყმას ვაჟკაცურად გაუძლო და პირნათელი ეგებება ღირსშესანიშნავ თარიღს.

თავდაცვის, უსაფრთხოებისა და შსს-ს პოლკოვნიკი, შეიძლება ითქვას, სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოების პერსონაჟის პროტოტიპად გვევლინება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ საფიცარი ხატის – სამშობლოს დასაცავად ცხადშიც იბრძოდა, და არა მარტო სამშობლოში. სავალდებულო სამხედრო სამსახურში მოხალისედ წასვლისა და სპეცსასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა აფრიკული სახელმწიფოების განმათავისუფლებელ სამხედრო ოპერაციებში. პროფესიით მშენებელ-ინჟინერი ე. წ. ავღანელთა სპეცბატალიონის მეთაურის რანგში აფხაზეთის ომის ბოლო დღემდე იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, ხოლო შემდეგ, სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე. ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის არაერთი მხედრული და სახელმწიფო ჯილდოც დაიმსახურა. ბატონ გურამს შემოქმედის ნიჭიც ამკობს, რაც მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრობით დაგვირგვინდა.

მრავალჟამიერ, უღალატო ვაჟკაცო კაცო.

თენგიზ ქავთარაძე

ბანკებისგან დაზარალებულმა ქობულეთელებმა გზა გადაკეტეს

ქობულეთში ბანკებისგან დაზარალებულები საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეებმა მთავარი ცენტრალური გზა – აღმაშენებლის ქუჩა გადაკეტეს. ისინი საბანკო ვალდებულებების გადავადებასა და შეღავათიანი კრედიტების აღებას ითხოვენ.

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ტურისტული სეზონის ჩავარდნის გამო, ისინი საბანკო ვალდებულებებს ვერ ასრულებენ. შეკრებილთა შორის იყვნენ, როგორც საოჯახო სასტუმროების, ისე კაფე-ბარებისა და რესტორნების მეპატრონეები. ბანკებისგან დაზარალებულები „ქართული ოცნების“ ოფისთანაც იმყოფებოდნენ და ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვდნენ.

აღსანიშნავია, რომ კოვიდპანდემიის პერიოდში ეს პირველი აქცია არ არის, რომელსაც ქობულეთში ტურიზმის სექტორში დასაქმებულები მართავენ.

აღსანიშნავია, რომ დასკვნაში წერია:სავაჭრო ცენტრის რეკონსტრუქციის სანებართვო დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნებს, თუმცა შენობის რეკონსტრუქციის შედეგად წესებთან შეუსაბამობის ხარისხი არ იზრდება.

ყოფილი კოლმეურნეობის ბაზრის ტერიტორიაზე აგროსავაჭრო ცენტრი რომ მოეწყობა, ადასტურებს ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, რომელიც ხელოვნებათმცოდნე ლალი ანდრონიკაშვილმა მოამზადა. დოკუმენტში წერია, რომ ნაგებობის რეკონსტრუქცია გულისხმობს შენობის ადაპტაციას, მასში მაღალი კლასის სავაჭრო ცენტრის განთავსების მიზნით. ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით ისტორიული ბაზრების ადაპტაცია მულტიფუნქციურ სავაჭრო აგრარულ ჰაბად მნიშვნელოვან ეფექტს იძლევა როგორც ეკონომიკური, ასევე კულტურული განვითარების თვალსაზრისით. ხელოვნებათმცოდნე მიიჩნევს, რომ ასეთ პროცესში მნიშვნელოვანია, ბაზრის შიდა სივრცეში მოიძებნოს ადგილი ტრადიციული კულინარიის და წარმოების შესაფერისად წარმოჩენისთვის.



დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ შენობა არ არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თუმცა საბჭოთა ეპოქის არქიტექტურული სტილისტიკით ხასიათდება და მნიშვნელოვნად განაპირობებს მიმდებარე მიკროუბნის ურბანულ ხასიათს.

ლალი ანდრონიკაშვილი წერს, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც რუსთაველის პროსპექტი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ქალაქის საადმინისტრაციო, ფინანსური და საზოგადოებრივი ცენტრი, აქ მდებარე ქარვასლებს, სასახლეებს და ციხესიმაგრის ნაშთებს ემატება ახალი მდიდრული მაღაზიები, კერძო სახლები, ხოლო XX საუკუნის დასაწყისისთვის შენდება ბანკები, თეატრები და კინო-თეატრები.

დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ 1887 წელს თბილისში ოთხი ყველაზე ცნობილი ბაზარი იყო – ავლაბარში, ე. წ. „სალდათის ბაზარი“ – ყოფილი კოლმეურნეობის მოედნის ტერიტორიაზე, ასევე, „თათრის ბაზარი“ და „ვერის ბაზარი“.

ისტორიულ კვლევაში წერია, რომ საბჭოთა პერიოდში ბაზრისთვის ტრადიციულ ტერიტორიაზე მსხვილი ორსართულიანი ნაგებობა აშენდა, რომელსაც „კოლმეურნეობის ბაზარი ეწოდა“. შენობის არქიტექტურა საბჭოეთისთვის ტრადიციული სამეურნეო ნაგებობების ფორმით იყო გადაწყვეტილი. ცენტრალური შესასვლელი აქცენტირებული იყო ორმხრივი პარადული კიბით და საფასადე კედლის მხატვრობით, რომელზედაც კოლმეურნეები იყვნენ გამოსახულნი. სამწუხაროდ ფრესკა დღეის მდგომარეობით აღარ არსებობს, ასევე სახეშეცვლილია მთავარი ფასადის მნიშვნელოვანი არქიტექტურული ელემენტები.

ხელოვნებათმცოდნე მიიჩნევს, რომ ყოფილი კოლმეურნეობის ბაზრის შენობის რეკონსტრუქცია-ადაპტაცია მასში თანამედროვე მაღალი კლასის აგროსავაჭრო ცენტრის განთავსების მიზნით, ძალზედ საჭირო ქმედებაა ქალაქისთვის. ლალი ანდრონიკაშვილი წერს, რომ თბილისის ისტორიულ ნაწილში რეაბილიტირებული ორბელიანის უბნის ტერიტორიაზე ტრადიციული ბაზრის აღდგენა ქალაქის მოსახლეობისა და ტურისტებისთვისაც განსაკუთრებით მიმზიდველია.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი აგრობაზრები დიდი პოპულარობით სარგებლობს ისეთ ტურისტულ მეგა-ქალაქებში, როგორიც არის ბარსელონა, რომი, სტამბოლი.

ბაჩო ადამია

არდავიწყება

რამაზ სურმანიძე



ამ უბარაქო წუთისოფელს განერიდა აჭარისა და სრულიად საქართველოს გამორჩეული შვილი, ჭეშმარიტი პატრიოტი, თავდადებული საზოგადო მოღვაწე, თვალსაჩინო პროზაიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და მეცნიერ-მედიკოსი რამაზ სურმანიძე.

დაიბადა 1933 წლის 10 მაისს შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში. სოფლის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო ბათუმის სამედიცინო სასწავლებელში, შემდეგ — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, პედიატრიის ფაკულტეტზე. სწავლის დასრულების შემდეგ შეუდგა შრომით საქმიანობას. 1999 წელს მოიპოვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. იყო 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

1983 წლიდან საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის, ხოლო 1987 წლიდან — საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრია.

ბატონი რამაზი გახლდათ ფრიად ნაყოფიერი შემოქმედი. არის 4 რომანის, მოთხრობათა 9 კრებულის, 1000-მდე პუბლიცისტური და საბიოგრაფიო წერილის ავტორი. აქტიურად მუშაობდა ქართული გვარების ისტორიაზე, ამ თემას მიუძღვნა 14 მონოგრაფია.

სხვადასხვა დროს გამოცემული წიგნებიდან აღსანიშნავია: „ემრულა“, „შინ და გარეთ“, „გოგოლა“, „პროზა“, „მურღულის ქვა“, „მფარველი ანგელოზები“, „ლაზეთის ლეგენდა“, „ზეცასთან მოუბარი“ და სხვ.

თარგმნილი აქვს ანტონ ჩეხოვის, ივან კირჩაკოვის, მიხეილ ბულგაკოვის ნაწარმოებები.

სხვადასხვა დროს მუშაობდა შუახევის რაიონის მთავარ ექიმად, ბათუმის ჯანდაცვის განყოფილების გამგედ, აჭარის კურორტების მართვის საბჭოს თავმჯდომარედ, აჭარის ჯანდაცვის მინისტრად.

სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა მის მიერვე დაარსებული სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორად.

რამაზ სურმანიძე 1990 წელს დამოუკიდებელი საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატი გახდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მას ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე. გარდა ამისა, ოთხგზის იყო არჩეული აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ბატონი რამაზი დამფუძნებელია არაერთი სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, მათ შორის მას განსაკუთრებით ეძვირფასებოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი სახალხო მოძრაობის „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“ დამფუძნებლობა. ამ ეროვნულ პრობლემებზე რამაზ სურმანიძის პუბლიცისტური წერილები გამოირჩეოდა შესანატრი გონიერებითა და პრინციპულობით.

რამაზ სურმანიძე დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

წავიდა ჩვენგან დაუვიწყარი მეგობარი, კოლეგა, ბრძენი ინტელიგენტი, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული მამულიშვილი. აჭარის წარსულსა და მომავალზე ფიქრში ღამეთა მთეველი, დამაშვრალი კაცი რამაზ სურმანიძე.

მის სახელს დავიწყება არ უწერია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნულ პრობლემათა შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, აკადემიკოსი **ელიზბარ ჯაველიძე,** ამავე კომისიის წევრები, სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისთვის“ დამფუძნებლები **პაატა გიორგაძე, ნოდარ ჩხეიძე, რომან რურუა, ზურაბ აბაშიძე, ენვერ ნიუარაძე, ნატალია ზაქარეიშვილი, გიგა ბათიაშვილი, გურამ სალარაძე, ელიზბარ ლომინაძე, ციალა ბექურაიძე, შალვა ნეფარიძე, ჯემალ მაკალათია, ზაურ ნაჭყებია, ვაჟა ბერიძე, გურამ აბაშიძე, მამუკა ბეშკენაძე, რობერტ გოლეთიანი, ზურაბ გასიტაშვილი.**

◎ დღესასწაული

„პალიასტომის“ ღვთისმშობლის ხატი

11 ოქტომბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს „პალიასტომის“ (ფოთის, ქუთაისის) ღვთისმშობლის ხატის დღეს.

...ცნობილია, რომ პალიასტომის ეს უძველესი ხატი კოლხეთის უძველესი ქალაქის — ფაზისის საკათედრო ტაძარში იყო დაბრძანებული. ასევე, ისტორია გვამცნობს, რომ დაახლოებით VIII-IX საუკუნეებში ეს ტაძარი ჩაიძირა და ახლა იქ პალიასტომის ტბაა.

აი, რას ვკითხულობთ „პალიასტომის“ ღვთისმშობლის შესახებ: **„წინათ ეს ხატი ღვთისმშობლისა გურიის ციხე-ქალაქ პალატომის საკრებულო ტაძარში იდგა, საყდრის მთავარუხუცესმა ხსენებული ხატის შთაგონებით ჩვენება იხილა: თურმე, თითქოს მას სიზმარში მარიამ ღვთისმშობელმა უთხრა, რომ ტაძრიდან შესულიყო და მისი ყოვლადწმინდა ხატი პალიასტომიდან გამოეტანა, რადგან ციხე-ქალაქს წყალში ჩაძირვა ელისო. მაგრამ მთავარუხუცესს სიზმრისთვის არ დაუჯერებია და არც სხვისთვის გაუგებინებია ამის თაობაზე.**

...წარღვნას გადაურჩა „პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი“ — თურმე ის ჰაერში მოდიოდა, უხილავად, თავისუფლად... და, როდესაც მთავარუხუცესმა ეს სასწაული დაინახა და ცოდვების მისატევებლად მუხლებზე დაიჩოქა, ხატი ჰაერიდან მის ხელებში მიესვენა“.

პალიასტომის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი დავით მეფის შვილიშვილს გიორგი მეფეს ქუთაისის ციხე-ქალაქში გადაუბრძანებია. მას შემდეგ მას ქუთაისის ხატსაც უწოდებენ..

გიული ლიპარტია

დეა კულუმბეგაშვილის ფილმი „დასაწყისი“ - „ოსკარზე“

„ოსკარზე“ საქართველოდან დეა კულუმბეგაშვილის ფილმი „დასაწყისი“ გაიგზავნება. შესაბამისი გადაწყვეტილება სპეციალურმა კომისიამ მიიღო, რომლის შემადგენლობაშიც ედმონდ აბაშიძე-მინაშვილი, ოთარ ბუბაშვილი, გოგი გვახარია, ლაშა ბაქრაძე, ნანა დოლიძე, რამაზ ხოტივარი, ალეკო ცაბაძე, გიორგი შველიძე, სალომე დემურია, ია შუღლიაშვილი, მაკო ჭილაშვილი, ანა ჭყონია, მარიამ ხაჭვანი, ვაკო კირკიტაძე და ლაშა ცქვიტინიძე შედიან.

ამერიკის კინოაკადემიის 2021 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს კანდიდატი ფილმის შერჩევა ეროვნულმა კინოცენტრმა 1 სექტემბერს დაიწყო. წარმოდგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქართველ კინემატოგრაფისტებს განაცხადის გაკეთება 30 სექტემბრის ჩათვლით შეეძლოთ.

ვადის ამოწურვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ წელს ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად 3 ფილმი იბრძოლებდა: **„დასაწყისი“** — რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი; **„უარყოფითი რიცხვები“** — რეჟისორი უტა ბერია; **„ურსუსი“** — რეჟისორი ოთარ შამათავა.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 13 ოქტომბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2233; ევრო - 3.7919;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1616;
100 რუბლი - 4.1535; თურქული ლირა - 0.4070;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8974;
1000 სომხური დრამი - 6.5862.

ამინდი 10 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+23
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+18,	დღე	+30
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+29
თბილისი:	ღამე	+9,	დღე	+20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge